# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 30 შაბათი. 31 აგვისტო 1918 წ. № 30



## ქართულ კლუბში

კვირას, 1 სექტემბერს,

დანიშნულია

## ჰიმნთა შეჯიბრება

ქართველთა სამხედრო კავშირის

გაძლიერებული ქალ-ვაჟთა გუნდი ნ. გ. ქართველიშვილის ლოტბარობით შეასრულებს ორ განყოფილებაში ქართველ კომპოზიტორთა ჰიმნებს.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე

ბილეთები დღეიდანვე იყიდება კლუბის კასაში. 3-2


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი 1—82.


გაზ. «საქართველოს რესპუბლიკა»-ს კანტორა ამით აცხადებს, რომ ვინც ენკენისთვის პირველ დღეს ხვედრ ფულს არ შემოიტანს გაზეთის გაგზავნა მოესპობა


კვირას, 1 ენკენისთვეს, (ახ. სტ.) 12 საათზედ, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება ნახევარ წლის პანაშვიდი კავკავში ტრაგიკულად გარდაცვალებულის

## გიორგი ვასილს-ძე დალაქიშვილისა

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი ნადეჟდა დალაქიშვილისა და ქალი მისი ელენე.

## ვაჟთა და ქალთა გიმნაზია ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაივლება 4 წელიწადში.

ქსენიას ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. გამოცდები და განმეორებითი გამოცდები—26 აგვ. (ახ. სტილით). კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელოებს.

გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

50—4


## განცხადება

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს, საყოველთაოდ, რომ ქვემოდ აღნიშნული საქონელი, გაუტანელი რკინის გზათა წესდების 84 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში, გაიყიდება თბილისის ცენტრალ საწყობში „10“ იანვარს 1919 წ. დილის ათ საათზე; გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად 11 იანვარს 1919 წ.

უდოკუმენტო ბარგი.

მიღებული სამტრედიაში—ბათომიდან № 28310—7 ფ. 10 გ., ბათომიდან № 3303—7 ფ. 15 გ., ბათომიდან № 495—1 ფ. 12 გ., ბათომიდან № 315—1 ფ. 7 გ., ბათომიდან № 4844—6 ფ. 12 გ., ბათომიდან № 1397—1 ფ. 10 ქ. ბათომიდან № 1314—2 ფ. 25 გ. ბათომიდან №83885 2 ფ. ბათომიდან № 6809—4 ფ. 10 გ., ბათომიდან № 36983—2 ფ. 20 გ., ბათომიდან № 4157—წიგნები 30 გ., მიღებული ხაშურში—ფოთიდან № 72893—1 ფ. სამტრედიიდან № 57136 კაკალი წვრილი 1 ფ. 35 გ., მიღებული ყარსში—ცვეტკოვიდან № 1917—36 გ., კრიმსკიდან № 1502—1 ფ. 15 გ., მიღებული ახალსენაკში—ფოთიდან № 65247—25 გ., მიღებული ნათლუხში—თბილისიდან № 24024—1 ფ. 25 გ., ნაპოვნი თბილისის სადგურზე №№ 58, 59, 60, 62, 64, 65 და 66

3—3

## ქართული უნივერსიტეტი

ეროვნულ საბჭოს გადაწყვეტილებით აგვისტოს 27 გამოცხადდა:

## „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად“

უკვე არსებულ სიბრძნის მეტყველების (საისტორიო-საფილოლოგიო) ფაკულტეტს ენკენისთვიდან ემატება სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები.

სტუდენტებად მიიღებიან: 1) ყოველგვარი ტიპის უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, 2) ყოველგვარი ტიპის საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები, რეალური, საკომერციო, სამიწისმზომელო და საგრონომო, საეპარქიო და წმ. ნინოს სასწავლებლები, სამასწავლებლო და ქალთა ინსტიტუტები, კადეტთა კორპუსი, სასულიერო სემინარიები მართლმადიდებელთა (ოთხი კლასი) და გრიგორიანთა და სამასწავლებლო სემინარიები (1918 წელზე უფრო ადრე კურს დამთავრებულნი მხოლოდ სიბრძნის მეტყველების საპედაგოგიო და საფსიქოლოგიო დარგზედ მიიღებიან).

სტუდენტად ჩასარიცხავად საჭიროა: 1) თხოვნა უნივერსიტეტის გამგეობის სახელობაზე (უნდა აღნიშნული იყოს ფაკულტეტი და მთხოვნელის მისამართი); 2) მოწმობა განათლების ცენზის შესახებ (დროებით შეიძლება დედნის მაგივრად პირი გამოიგზავნოს ნამეტურ ფოსტით) და 3) მეტრიკული მოწმობა.

მსმენელად ჩაწერისათვის განსაზღვრული ცენზი სავალდებულო არ არის და ასეთ პირთაგან საკმარისია მხოლოდ თხოვნისა და სწავლის ფულის შემოტანა.

სწავლის ფული ყველასთვის (სტუდენტებისა და მსმენელთათვის) სემესტრში (ე. ი. ნახევარი წლისა) ათი თუმანია, რომელიც თხოვნასთან ერთად უნდა იქმნეს შემოტანილი.

უნივერსიტეტის კანცელარია ღიაა საღამოს 6—8 საათამდის, გარდა კვირა-უქმეებისა. თხოვნების მიღება ენკენისთვის ბოლომდის; სწავლის დაწყება 1 ოქტომბერს.

ფოსტით: თბილისი, ვაკე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის გამგეობა.

3—2

## სიღნაღის მაზრის ერობის შემომღები კომიტეტი

აცხადებს, რომ მთელს მაზრაში საერობო არჩევნები მოხდება ენკენისთვის 15. სულ ასარჩევია 43 ხმოსანი. მაზრა გაყოფილია ხუთ საარჩევნო უბნად და ამრჩეველთა რაოდენობის მიხედვით ასარჩევია: 1) ქვემო მაჩხაანის რაიონში 17 ხმოსანი; 2) გურჯაანის მხარეს 10 ხმ.; 3) ქოდალოს რაიონში 6 ხმ.; 4) ლაგოდეხის რაიონში 6 ხმ. და 5) ქ. სიღნაღში 4 ხმ. სახმოსნო კანდიდატების სია უნდა წარმოდგენილ იქმნას ქ. სიღნაღში, მაზრის ერობის შემომღებ კომიტეტში არა უგვიანეს ენკენისთვის 5-სა.

სიღნაღის მაზრის საერობო კომიტეტი.

5—1

## ოფიციალური განყოფილება

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

28 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 232.

დანიშნულ იქმნა: ამა წლის 1 აგვისტოდან შინაგან საქმეთა მინისტრის უმცროსი მდივანი ემელიან ანანის ძე ლომთათიძე იმავე სამინისტროს უფროს მდივნად.

დათხოვნილ იქმნა: ამა წლის 1 აგვისტოდან, თანამდებობიდან და სამსახურიდან, შინაგან საქმეთა მინისტრის უფროსი მდივანი კალისტრატე აბბაკუმის ძე ფირცხალაიშვილი, თანახმად მისი თხოვნისა.

შინაგან საქმეთა მინისტრი: ნ. რამიშვილი.

28 აგვისტო 1918 წ.

№ 233.

დანიშნულ იქმნა: შტატს გარეშე მყოფი ყოფილ ამიერ-კავკასიის კომისარიატის კანცელარიის საქმის მწარმოებლის უმცროსი თანაშემწე მელქისედეკ აპოლონის ძე მიქელაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლათ.

გამორიცხულ იქმნა: ამა წლის 20 აგვისტოდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი მიხეილ სიმონის ძე ლორთქიფანიძე, საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორათ დანიშვნის გამო.

შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ: გ. მახარაძე.

### ბრძანება

29 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 28.

დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძე დაინიშნოს მთავრობის საქმეთა მმართველობის ექსპედიტორათ 30 ამა აგვისტოდან იმ ჯამაგირით, რომელიც აღნიშნულია მმართველობის შტატებში.

29 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 39.

მოწვეულ იქმნენ: 1) გრიგოლ ტიტეს ძე რობაქიძე მთავრობის საქმეთა მმართველობის მდივნად ამა აგვისტოს 27-დან. 2) თინათინ ერმალოს ასული ნაკაშიძე საბეჭდავ მანქანაზე მომუშავედ ამა აგვისტოს 20-დან.

გადაყვანილ იქნეს: ბეჟან ნიკოლოზის ძე ტატიშვილი მორიგი მოხელეს თანამდებობიდან საბეჭდავ მანქანაზე მომუშავედ ამა წლის 1 სექტემბრიდან.

სამივე იმ ჯამაგირით, როგორც აღნიშნულია მთავრობის საქმეთა მართველობის შტატებში.

30 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.
№ 30.

თამარა ალექსანდრეს ასული ფირალოვი განთავისუფლებულ იქნეს ამა წლის პირველ სექტემბრიდან მთავრობის საქმეთა მმართველობის სამსახურიდან, ვინაიდან ის არქივი, სადაც ის მუშაობდა, გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მთავრობის საქმეთა მართველი ს. ჯაფარიძე.

### ბრძანება

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახალხო განათლების მინისტრისა.

28 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.
№ 31.

დანიშნულ იქმნან: 1. ყარსის რეალურ სასწავლებლის დირექტორი ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 2. თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მასწავლებელი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ინსპექტორად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 3. თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის დირექტორი ვასილ ანტონის ძე ჩალენკოვი თბილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 4. თბილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის დირექტორი ალექსანდრე დავითის ძე საფაროვი თბილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 5. თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის ინსპექტორი იული ადოლფის ძე ლიასოცკი თბილისის ვაჟთა მეექვსე გიმნაზიის დირექტორად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 6. თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის ინსპექტორი ალექსანდრე ფეოდორის ძე სავინოვი თბილისის ვაჟთა მეექვსე გიმნაზიის ინსპექტორად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 7. განჯის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი ალექსანდრე გიორგის ძე ფირცხალაიშვილი თბილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის ინსპექტორად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 8. თბილისის ვაჟთა მეექვსე გიმნაზიის დირექტორი მიხეილ ვლადიმერის ძე ისტრებოვი თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიის რუსულ ენის მასწავლებლად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 9. თბილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის ინსპექტორი ლეონიდე პავლეს ძე ნევტონოვი იმავე გიმნაზიის მათემატიკის მასწავლებლად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 10. თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის ინსპექტორი იაკობ იაკობის ძე მელიუშჩენკო იმავე გიმნაზიის შტატის მასწავლებლად მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან.

შტატის გარეშე რჩებიან: 1. თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უსპენსკი გიმნაზიის გაეროვნების გამო მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან. 2. თბილისის ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის ინსპექტორი ალექსანდრე ივანის ძე კომპანეეცი გიმნაზიის გაეროვნების გამო მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან.

სახალხო განათლების მინისტრი: გ. ლასხიშვილი.

### ბრძანება

საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობისა, მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.

24 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.
№ 2736.

ქუთაისის საგუბერნიო, საადგილმამულო სამმართველოს წევრი ი. გობეჩია დათხოვნილია თანამდებობიდან 17 აგვისტოდან 1918 წლ.

—

ქუთაისის საგუბერნიო, საადგილმამულო კომიტეტის წევრი ბ. ნ. ფალავა დამტკიცებულ იქნა ქუთაისის საგუბერნიო საადგილმამულო სამმართველოს წევრის თანამდებობაზე 1918 წლის 17 აგვისტოდან.

—

ქუთაისის საგუბერნიო, საადგილმამულო სამმართველოს წევრი მითაიშვილი დანიშნულ იქნა მამულ „ვარციხე“-ს, ქუთ. გუბ., მმართველის თანამდებობაზე.

მიწათ მოქმედების მინისტრი: ნ. გ. ხომერიკი.

## არა ოფიციალური განყოფილება.

თბილისი, 31 აგვისტო.

ჩვენ დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ვიმყოფებით, პარლამენტიც გვყავს და მის წინაშე პასუხის მგებელი დემოკრატიული მთავრობაც.

მაგრამ დიდათ შევცდებით თუ აქედან [illegible] დასკვნას გამოვიყვანთ, რომ და შეგვიძლიან ისე მოვიქცეთ საპარლამენტო ბრძოლის ასპარეზზე, როგორც სხვა ჩვეულებრივ პირობებში მოვიქცეოდით.

ჩვენ ჯერ თვით ჩვენი სახელმწიფოებრივი პრინციპი გვაქვს განსამტკიცებელი, დამოუკიდებლობა და თავისუფლება უნდა გადავარჩინოთ ათასნაირ საფრთხეს. და ამისთვის სამშობლოს ყველა დადებითი და ცხოველმყოფელი ძალები უნდა გავაერთიანოთ და შევაკავშიროთ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას დავალებული აქვს ქვეყნის შველა და მფარველობა. მისი არსებობის დედააზრია საქართველოს დამოუკიდებლობის უზრუნველ ყოფა და მისი პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცება. ამიტომ მას ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ და ყოველნაირათ დავეხმაროთ, რომ პირნათლათ შეასრულოს თავის საისტორიო მოვალეობა და თავი გამოაბას ჩვენ სახელმწიფოებრივ ვითარებას.

სამწუხაროთ, ეს ჩვენში ყველას კარგათ არა აქვს შეგნებული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საპარლამენტო ოპოზიცია დღემდე მაინც სრულიად უპასუხისმგებლოთ და დაუზოგველათ ილაშქრებდა ჩვენი მთავრობის გადასაბრუნებლათ და არ უწევდა ანგარიშს იმას, რომ თანამედროვე საშინაო და საგარეო ურთიერთობაში ამ გვარი თავ შეუკავებელი ბრძოლა volens-nolens ჩვენს დამოუკიდებლობას უთხრის ძირს, ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის წინააღმდეგ არის მიმართული.

ბევრი ივიწყებდა და ივიწყებს, რომ ჩვენი მთავრობის კატასტროფიული დაცემა სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს თვით ჩვენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას.

სამშობლო და თავისუფლება იმგვარ საზედისწერო წუთებს განიცდის, რომ ყველა პოლიტიკურ მიმართულებას ღალატად ჩამოერთმევა შორით სიარული, სახელმწიფურ აღმაშენებლობის საქმეებში ჩაურევლობა, განზე გამდგარ პონტოელ პილატესავით ხელის ბანა და თავის თავზე ბრალის მიულებლობა.

ვინ იცის საქმით რა იქნება, როგორ შეიცვლება ჩვენი მემარჯვენე ოპოზიციის მდგომარეობა მთავრობის მიმართ. არავითარ წინასწარმეტყველებას ჩვენ არ ვკისრულობთ.

მხოლოთ არ შეგვიძლია გაკვრით არ აღვნიშნოთ, რომ ნაციონალ-დემოკრატიულ ოპოზიციის ლიტერატურულ ორგანოს „საქართველოს“ განწყობილება თითქოს შეცვლილია ამ ძირითად საკითხში.

ოპოზიცია, ეტყობა, შემკრთალა; თითქოს შეშინებია თავის უპასუხისმგებლო გამოსვლების, მთავრობის განვითარების დაუცხრომელი სურვილის, თითქო შერცხვენია გადაჭარბებული „კრიტიკანობის“. და გონზე მოსული სწერს:

,,საპარლამენტო ოპოზიციის მოღვაწეობა ეროვნულ საბჭოში არ შეიძლება მარტო შეკითხვებსა და ინტერპელაციებში ამოიწუროს და საკანონმდებლო მუშაობის ობსტრუქციად იქცეს“. ეს იქნებოდა სამშობლოს განწირვა პარტიის გულისათვის.

სიმართლე მოითხოვს აღვიაროთ, რომ საქართველოს საბჭოში ,,ობსტრუქციული“ ხასიათის წოდებით ნაციონალურ დემოკრატიულ ოპოზიციის მოღვაწეობას ემჩნევა.

და თუ ახლა ამას თვითონ გრძნობენ, თავის თავს თვითონ აფრთხილებენ, ჩვენ შეგვიძლია სიამოვნებით აღვნიშნოთ ეს პატარა ,,ლიტერატურული“ ცვლილება ჩვენი მემარჯვენე ოპოზიციის პოლიტიკაში.

ვინ იცის, ეს შეიძლება მაჩვენებელი იყოს ,,დასასრულის დასაწყისის“ ნაც.-დემოკრატიულ ბანაკის მომქმედ ძალთა ურთიერთულ დამოკიდებულებაში და [illegible]

ხოლო რაც შეეხება იმას, თუ ვინ, რომელი პარტია უფრო პატრიოტულია და ვინ უფრო იღწოდა სამშობლოს კეთილ დღეობისათვის, უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველი პარტია უნდა დახასიათდეს არა იმის მიხედვით თუ როგორი წარმოდგენის არის ის თავის თავზე, არამედ რას აკეთებს, როგორ მოქმედებს, ვის ემსახურება იგი თავის საქმიანობით პოლიტიკურ სინამდვილეში.

ახლა ნუ გამოვუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენათ შეესაბამება ერთიერთმანეთს ჩვენი მემარჯვენე ოპოზიციის სიტყვა და საქმე. ყოველ შემთხვევაში ხალხის მგრძნობიარე სინდისი და ყურმახვილობა სისწორით დააფასებს ავსა და კარგს ჩვენს მოქმედებაში, პირუთვნელი ისტორიის სამსჯავრო იტყვის უკანასკნელ სიტყვას ამ საკითხში.

მხოლოდ დღეს, როდესაც ჩვენს რესპუბლიკას გარშემო ცეცხლი არტყია და განსაცდელშია ჩავარდნილი ერის სიცოცხლე, საქართველოს დამოუკიდებლობა, დემოკრატიის და თავისუფლების ინტერესები, ყველამ უნდა მიატოვოს ვიწრო ფრაქციული ჩარჩოები და მთავრობასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ გამოვიდეს ფართო ნაციონალურ სახელმწიფოებრივ შემოქმედების ასპარეზზე. ყოველი ნამდვილი პატრიოტული და დემოკრატიული დროშა და მრწამსი დღეს მხოლოდ ამას უნდა მეტყველებდეს.

## ეროვნულ უმცირესობის საკითხის გამო.

II

შეუძლებელია, რომ ჩვენი სახელმწიფოს ქვეშევრდომობა არ იცნოს ჩვენს ტერიტორიის მკვიდრმა მოსახლეობამ, რა ეროვნებისაც უნდა იყოს ის. ეს ნება-ყოფლობის საკითხი კი არა, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების და სუვერენიტეტის საქმეა. ჩვენ ქვეშევრდომობის საკითხს ვერ მივაგდებთ მარტო ეროვნულ უმცირესობათა თუ სხვა მცხოვრებთა ნებასურვილზე. ცნობები არის, რომ არარატის რესპულიკის ქვეშევრდომებათ გამოცხადდენ ყველა ის სომხები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენო. ლტოლვილებს გარდა ჩვენში ორასი ათასამდე სომეხი მოსახლეობს. ჩვენში მოსახლეობენ აგრეთვე ოსები, თათრები, ბერძნები და სხვ.

მისაღებია თუ არა სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით, რომ ჩვენს პატარა რესპუბლიკაში ამდენი მკვიდრი სომეხი, ოსი, თათარი და სხ. მოსახლეობდეს და ჩვენი რესპუბლიკის ქვეშევრდომი კი არ იყოს?

არ არის შესაძლებელი.

საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნულ უმცირესობათა შორის განსხვავებული ადგილი უჭირავს აფხაზეთს. აფხაზებსა აქვთ საკუთარი სამშობლო, საკუთარი ტერიტორია, ამიტომ მათ შეუძლიათ მოითხოვონ ყველა ის უფლებანი, რომლებიც შეერთებული არიან საკუთარ ტერიტორიასთან, ე. ი. აფხაზეთს უფლება აქვს მოითხოვოს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია.

რას ნიშნავს ამგვარი ავტონომია? საკუთარი ძალ-ღონით საკუთარ სახელმწიფოს მოწესრიგებას და მისი შინაური საქმეების, შინაური ცხოვრების მეთაურობას.

ვინც ასეთს საქმეს ჰკიდებს ხელს, მას უნდა ჰქონდეს შესაფერი ძალ-ღონეც.

უამისოთ ავტონომია ქაღალდზედ დარჩება და ნამდვილათ კი მივიღებთ სრულ ანარქიას.

საკუთარის მაგალითით ყველამ კარგათ ვიცით, რამდენათ ძნელია სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. აფხაზები მეტათ მცირე რიცხოვანი ერია—სულ იქნება 50.000-მდინ. აფხაზეთში არა აფხაზნი—ქართველები, ბერძნები სომხები და სხვ. გაცილებით მეტია.

კულტურული ძალა აფხაზებს ჯერ-ჯერობით მეტათ სუსტი აქვთ—ინტელიგენცია თითზე ჩამოსათვლელია. ამავე დროს აფხაზეთი ეკონომიურათ ისე მტკიცეთ არის შეკავშირებული საქართველოს რესპუბლიკასთან, რომ მათი დაშორება შეუძლებელია.

წარსული წლის შემოდგომაზე მთიელების წარმომადგენელნი დიდის რიხითა და ენერგიით ცდილობდენ აფხაზეთის მიკერებას მთიულეთზედ, მაგრამ ეს რომ უნიადაგო შრომა და უქმი ოცნება იყო, თავიდანვე უნდა გვცოდნოდა.

დღეს მართლაც აფხაზეთი საქართველოს [illegible]

თუ ყოველივე ამას მხედველობაში მივიღებთ, დავრწმუნდებით, რომ დღევანდელს პირობებში აფხაზებს შეუძლიათ მთელი თავისი ძალღონე მოახმარონ თავის თვითმმართველობას და ჩვენი მთავრობაც ამ მხრივ უნდა დაეხმაროს მათ.

ეს ერთად-ერთი გზა არის აფხაზებისათვის საკუთარი ეროვნული ცხოვრების გაევროპიელებისათვის, ურომლისოთაც აფხაზების დაღუპვა აუცილებელია.

ჩვენ თუ იმდენათ ბედნიერი ვიქენით, რომ სამაჰმადიანო საქართველო თავისუფლად მოეწყო, მისთვის აუცილებელი იქნება პოლიტიკური ავტონომია და აი რატომ.

მართალია მაჰმადიანი ქართველები ჩვენი ძმები არიან, მართალია, ჩვენ ერთი გვაქვს სამშობლო და მათი მიწა-წყალი მხოლოდ ნაწილია ჩვენი რესპუბლიკისა, მაგრამ ისტორიის ტრიალმა მოგვკვეთა ეს კუთხე, მოგვაშორა.

რამოდენიმე საუკუნე ჩვენ ვცხოვრობდით სხვა და სხვა პირობებში და ამას ის მოჰყვა შედეგათ, რომ შეგნებით, ცხოვრებით, რწმენა-შეხედულებით, სარწმუნოებით მაჰმადიანი ქართველები დანარჩენ ქართველობას ჩამოშორდენ. მათ ბევრი რამა აქვთ უკვე განსხვავებული, თავისებური.

ამ თავისებურობასა და განსხვავებას შეეფერება თავისებური პოლიტიკური ცხოვრებაც ფართე თვითმმართველობის ავტონომიის.

გ—ლი.

## პრესის მიმოხილვა.

ჩვენ ერთხელ დაწვრილებით შევეხეთ კითხვის და შეკითხვის მნიშვნელობას საპარლამენტო ცხოვრებაში. იმავე საკითხს ეხება დღეს „სახალხო საქმე“ და ბოლოს დასძენს:

შეკითხვას პარლამენტში იშვიათს, განსაკუთრებულს შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე, როდესაც მოხდება ისეთი ამბავი, რომელიც მთელი ხალხის ყურადღებას იპყრობს დ დიდს მითქმა-მოთქმას იწვევს, ან როცა მთავრობის პოლიტიკა საერთოდ უკვე არ აკმაყოფილებს პარლამენტს და უნდათ მისი გამოცვლა, დეპუტატებს შეაქვთ შეკითხვა, რომ უნდობლობის გამოცხადების საშუალებით გადააყენონ მთავრობა და სხვას ჩააბარონ მესვეურობა. თუ რამდენათ სერიოზული მნიშვნელობა აქვს ევროპაში შეკითხვას, ინტერპელაციას, ეს სხვათა შორის იქიდანაც სჩანს, რომ საფრანგეთში სამინისტროების გადადგომის მიზეზი სანახევროდ შეკითხვა ყოფილა ოცი წლის განმავლობაში. ინგლისში წლები გაივლის ისე, რომ ერთს შეკითხვასაც არავინ შეიტანს. თუ როგორის სიფრხილით ეპყრობიან დღეს პარლამენტები შეკითხვას, ეს ყველამ უწყის.

ასეა ევროპაში, სადაც ხანგრძლივი დ დიდი სახელმწიფოებრივი გამოცდილება აქვთ მოღვაწეებს, სადაც მრავალი საუკუნის დალაგებული ცხოვრებაა. სამწუხაროდ ასე არაა ჩვენში, საცა სახელმწიფო ახლად შენდება და მისი არსებობა ათასნაირ ხიფათშია. ჩვენში, ზოგიერთები მეტად მსუბუქად ეკიდებიან შეკითხვას, თითქოს იგი მხოლოდ სიტყვიერი გაჯიბრების მასალა იყოს, თითქოს უფლება იყოს მარტო და თან არ ახლდეს უმძიმესი მოვალეობა და დიდი პასუხისმგებლობა“...

ჩვენც ასე ვფიქრობთ. ისეთ პირობებში ვართ განსაკუთრებით დღეს, რომ უფრო ხშირათ უნდა ვისარგებლოთ საპარლამენტო კითხვით, ვინემ საპარლამენტო შეკითხვით.

* * *

„ერთობა“ სწერს:

მუშათა საბჭოების აღდგენა, ძველი გზით რევოლიუციონური კლასის, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, მუშების და გლეხების დიქტატურის გამოცხადება—ეს ისეთი საზოგაებრივი მოვლენა იქნება, რომელიც ჩვენ ხალხს იმავე უბედურებას და ანარქიას დაატეხს, რა უბედურებაშიაც იმყოფება ამ ჟამად რუსეთის ხალხის უმრავლესობა.

საქართველოს დემოკრატიამ დემოკრატიული ორგანო შექმნა, მან დემოკრატიული პარლამენტი გაიჩინა და მისი საზოგადოებრივი კლასების ყველა წარმომადგენლები იქ თავს იყრიან. ასეთი ძალთა განწყობილების მეოხებით იქმნება და მუშავდება დემოკრატიული კანონები და იგი ცხოვრებაში ტარდება.

სხვა გზა და ორგანოები სოციალურს და პოლიტიკურს ცხოვრებაში დიდ არევ-დარევას შეიტანს და არ შეეფერება იმავე დემოკრატიის ინტერესებს, რომელსაც ასე უშნოთ ესარჩლებიან არა მკითხე სოციალისტები. საქართველოს დემოკრატიამ და მის სათავეში მდგარმა მუშათა კლასმა [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის უკეთეს წყობილების მომზადებისთვის. სხვა გზა ანარქო-ბალშევიკურია და ნურას უკაცრავათ, თუ ცრუ სოციალისტების რჩევა-აგიტაციას ჩვენ ყურს ვერ დაუგდებთ მით უმეტეს, რომ ჭეშმარიტმა დემოკრატიამ ანარქო-ბალშევიკური უტოპია სამართლიანათ დაგმო და მის მავნე გავლენას ერთხელ და სამუდამოთ ზურგი შეაქცია.

ქართველ ესერების გაზეთი „შრომა“ ტყვიბულის შესახებ სწერს:

„თამამათ შეიძლება ითქვას. რომ დღევანდელ პირობებში ჩვენს რკინის გზებს ტყვიბული განაგებს. ტყვიბულის მაღაროებში მუშაობის შეწყვეტა შეაჩერებს არა მარტო რკინის გზებზე მიმოსვლას, ის საშინლად გააძლიერებს სასურსათო და საერთო ეკონომიურ კრიზისს და ჩვენს ნორჩ სახელმწიფო მექანიზს აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს.

როგორც სჩანს, სამწუხაროთ, ამ გარემოებას სათანადო ანგარიშს არ უწევენ მაღაროების მუშები. მხოლოდ ამით აიხსნება ის კონფლიქტი მუშებსა და მთავრობის შორის, რომელსაც ბოლო არ ელება. ასეთი მდგომარეობა ხელსაყრელია მხოლოდ ჩვენი თავისუფლების მტრებისათვის. მხოლოდ მათ ახარებს ის საშინელი კატასტროფა, რომელსაც ჩვენს რესპუბლიკას ტყვიბულში მუშაობის შეჩერება უქადის. მაღაროებში მუშაობა მეტად მძიმეა. ხელფასის მომატების მოთხოვნა დღევანდელ ზღაპრულ სიძვირის პირობებში, ბუნებრივია, ამიტომ მთავრობამ დაუყონებლივ უნდა დააკმაყოფილოს ტყვიბულის მაღაროების მუშების სამართლიანი მოთხოვნილებანი, მაგრამ მეორეს მხრივ ამხანაგ მუშებმაც ანგარიში უნდა გაუწიონ მომენტსა და რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ჩვენს რესპუბლიკას სათავეში უდგას არა ბურჟუაზია, არამედ სოციალისტები—მუშების წარმომადგენელნი“.

ეს ძალიან კარგია. მაგრამ როგორ ათანხმებს გაზეთი თავის პირველი მეთაურის ამ აზრებს მეორე მეთაური წერილის, სულ საწინააღმდეგო სულის კვეთებას—ეს აღარ ვიცით.

მეორე წერილში სხვათა შორის ასე სწერენ „შრომელები“:

„დაუყონებლივ უნდა გატარდეს ცხოვრებაში ფართო დემოკრატიული რეფორმები, მხოლოდ ამით შეიძლება ხალხის გულის მოგება, დაყოვნება ამ შემთხვევაში სიკვდილს ემსგავსების. ჩვენში გაბატონებული პარტია და მისი მთავრობა დემოკრატიულ გზას ასცდა და სულ სხვა გზით მიექანება. ეს გარემოება მეტად დამაფიქრებელია. ხალხი მათ არ გაჰყვება და არსებული უფსკრული მათ და ხალხს შორის კიდევ უფრო გაიზრდება. ყველა ხედავს თუ როგორი სისწრაფით ეცემა ხალხში მთავრობის პრესტიჟი, ყველა საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი ამ გარემოებას დააფასებს და შესაფერ ნაბიჯებს გადადგმას.

ხან ისე და ხან ასე, ერთგან მუშებს არწმუნებს—შედით მთავრობის მდგომარეობაში, რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებს ანგარიში გაუწიეთ, მთავრობაში ბურჟუაზია არ გეგონოთ, სოციალისტები არიანო. მეორე სვეტზე კი იმავე მუშა ხალხს ეუბნებიან: მთავრობა დემოკრატიულ გზას ასცდა, ხალხი მათ არ გაჰყვება, ყველა ხედავს, როგორ ეცემა ხალხში მისი პრესტიჟიო.

აი ამაზე იტყვიან: მარჯვენამან შენმან არ იცის რას იქმს მარცხენა შენი. რას ნიშნავს ასეთი უკუღმართობა, ასეთი პოლიტიკური წინააღმდეგობა?

# ეროვნული საბჭო

**მარიამობისთვის 2-ს სხდომა მე-26-ე.**

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბ. შალვა ქარუმიძეს.

შ ა ლ. ქ ა რ უ მ ი ძ ე. (ერ.-დემ.)

ბატონებო!

ჩვენ მინისტრებს და ორატორთ მარცხნიდამ ერთი ჩვეულება ემჩნევათ. ყოველ ჩვენ შეკითხვას სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულათა სთვლიან.

აი დღესაც ბ-ნმა შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ვეშაპელის შეკითხვა მოკლებულია სახელმწიფო ხასიათს და სერიოზობას, რომ მას აზრად აქვს არა განმტკიცება ჩვენი სახელმწიფოსი, არამედ სულ სხვა რამ. ბ-ნ მინისტრის აზრით ამ შეკითხვას მოჰყვება არა შერიგება საქართველოს სახელმწიფოსთან იმ ელემენტებისა და იმ ხალხისა, რომლის მიმართ არის მიმართული ჩვენი შეკითხვა, არამედ მათი გათიშვა, მათი გაბოროტება. ჩვენ თურმე ჩვენის შეკითხვით ვსპობთ იმ საერთო გზას, რომლითაც უნდა იაროს ქართველმა და ოსების დემოკრატიამ მომავალში.

თქვენ მოისმინეთ მთავრობის პარტიის, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის, ორატორის—ალ. ლომთათიძის სიტყვაც, ნაქარგი ასეთივე ჰანგებით.

მე კატეგორიულად უნდა განვაცხადო საბჭოსა და ქვეყნისა წინაშე—რომ ყველა აქ ნათქვამ სიტყვაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ღრმა სახელმწიფოებრივი აზრით. ყოველივე ჩვენი სიტყვა მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამაგრებისა და განმტკიცებისათვის.

მე უნდა მოგახსენოთ, რომ დღევანდელმა ამათმა მსჯელობამ—მინისტრის პასუხმა და ლომთათიძის სიტყვამ მე ვერ დამაკმაყოფილა. მე დავრწმუნდი, რომ თუ სადმე არის ამ სახელმწიფოებრივი ინტერესის შეუძლებლობა და თუ ვისმეს ეთქმის საყვედური ამის შესახებ—ეს ბ-ნი მინისტრი და მისი პარტია გახლავთ.

მე მეტსაც ვიტყვი—ამის ნებას მივცემ ჩემ თავს—მათ ნაკლები წარმოდგენა აქვთ იმ საქმეზედ, რომლის მოწესრიგებაც ბედს მათთვის დაუკისრებია. ჩვენ გვისაყვედურებენ—ჩვენ ვსპობთ თურმე იმ გზას, რომლითაც საერთო სვლა შეიძლებაო.

ჩვენ ქართველ ნაციონალისტებს გვეძახიან და ჩვენი გზა ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. არ არის ცხადი და არავინ იცის მხოლოდ თქვენი გზა. დღევანდელმა თქვენმა მსჯელობამ დაამტკიცა, რომ თქვენც არ იცით ეს გზა.

თქვენ შესახებ ჩვენ ის ვიცით მხოლოთ, რომ თქვენ ინტერნაციონალისტები ბრძანდებით და ნაციონალურ სახელმწიფოს კი ჰქმნით.

ჩვენ კი ქართველი ნაციონალისტები გახლავართ და ჩვენი ნაციონალიზმი იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს მომავალს დავუდოთ საფუძვლათ ყველა ის კეთილი და დადებითი მოვლენანი—რომელიც ჰქონია წარსულში. ქართველი ერის პოლიტიკურ—სამოქალაქო ისტორიას. საქართველოში ქართველ ხალხთან წარსულში უცხოვრია ოსობასაც, სომხობასაც, ებრაელობასაც და სხვებსაც და უცხოვრია ისე, რომ თანასწორი მონაწილენი ყოფილან სახელმწიფოს ყოველგვარი ბედნიერებისა, ერის ჭირისა და ლხინისა. ასეთ განვითარებამდე და სახელმწიფოებრივ მაღალ ფორმამდე მიუღწევია ქართულ ნაციონალიზმს და მას ბადალი არა ჰყავს ამ მხრივ. ქართულ ნაციონალიზმს არავინ დაუჩაგრავს, შური არავიზედ უძიებია. ლომთათიძის წამოძახილი—ჟიდებზე და ტუზემცებზე—ბოროტი შელახვაა ერის ცხოვრების საუკეთესო ფურცლებისა და დამამტკიცებელია იმის, რომ თქვენში გადამეტებით სჭარბობს ბატონებო რუსული სული და ტრადიციები—ვიდრე ტრადიციეები იმ ერისა, რომლის აშენებასაც თქვენ აპირობთ.

ასეთი გახლავთ, ბატონებო, ის საერთო გზა, რომლითაც უვლიათ ყველა საქართველოში მცხოვრებ ერებს ქართველ ხალხთან. თქვენ იცნობთ ამ გზას, სხვებიც იცნობენ მას. ეს არის ჩვენი გზა და აი ამ გზით ვაპირობთ საქართველოს პოლიტიკის ევოლუციას. ჩვენ ვამბობთ: ისე, როგორც წარსულში—დღესაც და მომავალშიაც ჩვენი სახელმწიფო განაგრძნობს ერთა უფლების პატივისცემას, მაგრამ იგივე სახელმწიფო ვერასგზით ვერ მოითმენს ღალატს და სახელმწიფო ინტერესების შელახვას.

აი ასე გვქონდა ჩვენ სახეში გადაწყვეტილი ეს საკითხი, როდესაც დამოუკიდებელ საქართველოს ჩვენ პოლიტიკურ იდეალად ვისახავდით.

თქვენი გზა რომელიღაა? თქვენ ხომ საქართველოს დამოუკიდებლობაზე არ გიფიქრიათ, აზრი მის შესახებ დიდ დანაშაულად გქონდათ გამოცხადებული! თქვენ ხომ ვერ წარმოგედგინათ ისეთი დღე, როდესაც საქართველოს საკუთარის ძალით მოუხდებოდა ასეთი საკითხების გადაწყვეტა. ესეთი ამბები პეტროგრადის ცენტრის საქმე უნდა ყოფილიყო და აი, როდესაც ბედმა მწარედ დაგცინათ და თქვენ მოგანდოთ ეს დიდი საქმე—თქვენც დაიბენით, ვერ შესწვდით ვერც საქმის სერიოზობას და ვერც მის სინამდვილეს.

თქვენ ნამდვილი სახელიც კი ვერ გიწოდებიათ ამ მოვლენისათვის. ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ თქვენი „მაკიაველიზმი“, თქვენი გაუგებრობა, თქვენი მუდმივი სურვილი და ცდა ცხოვრების ჭეშმარიტი, რთული ეროვნული, მოვლენანი პროგრამის მკვდარ მუხლებს დაუმორჩილოთ—არის გზა ღრმა სახელმწიფოებრივ სიბრძნით აღვსილი, რომელიც კეთილად გადასწყვეტს ამ საკითხს? ან იქნებ, თქვენ სახელმწიფოებრივ ზომათ ის რეზოლიუციები, ის დაპირებანი, ის სიტყვები მიგაჩნიათ, რომლითაც თქვენი წარმომადგენლები უმასპინძლდებიან ოსებს? არა საქართველოს, არამედ პარტიის სახელით. თქვენ საქართველოს სახელით ხომ არ გილაპარაკნიათ მათთან ჯერ ჯერობით? იქნებ სამარცხვინოთა სთვლით საქართველოს სახელით ლაპარაკს და მიტომ პარტიულ კაბინეტებში, პარტიის სახელით სწყვეტთ ასეთ საკითხებს. ეს დამღუპველია ჩვენთვის და მავნე ოსებისათვისაც. ამ გზით არ უვლია საქართველოს, ვერ ივლის მომავალშიაც. ეს იმდენათვე სახელმწიფოებრივია, რამდენათაც სახელმწიფოებრივი ღირსებით ® შინაარსით სავსე გახლდათ დღევანდელი თქვენი პასუხი! განა სახელმწიფოებრივია პასუხი ასეთ ფრიად სერიოზულ საკითხზე, რომლის დიდს სერიოზობას არც თქვენ უარყოფთ, პასუხი აშენებული უბრალო ქრონიკულ ეპიზოდებზე, როგორც ეს ინება ბ-მა შინაგან საქმეთა მინისტრმა? განა შეიძლება აქედან ამ სახელმწიფო დარბაზში ასეთი უბრალო კორესპონდენციის ცნობების გაშუქება იმ საკითხისა, რომელსაც დიდი ისტორია აქვს და მოითხოვს განსაკუთრებით ყურადღებას? ისტორია კი მრავალმნიშვნელოვანია და ღირს თქვენი სმენის საგნათ გახდეს იგი. ოსთა საკითხი დღევანდელი პოლიტიკური ვითარების შედეგი არ გახლავთ მხოლოდ. სამწუხაროდ ოსობით თავის ბატონობის დროს სარგებლობდა რუსეთი თავის იმპერიალისტურ ზრახვათა ალსრულებაში მოსაყვანათ, როგორც აქ, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. თქვენ იცით-რა შედეგები მოჰყვა ამას იქ. თქვენ იცით, რომ ისე შეასახლა ოსობა და ყაზახობა რუსის მთავრობამ ინგუშთა, ჩეჩენთა და ჩერქეზთა ტერიტორიაზე, რო ერთხელ მთლიანი მათი მიწა-წყალი—დღეს ისე ხაკუწ-ნაკუწათ არის დაჭრილი, რომ ერთი ნაწილი მეორე ნაწილებისაგან სრულიათ დაშორებულია ისე, რომ ფიქრი ეროვნულ მთლიანობის აღდგენაზე დღეს მხოლოდ მწარე ტკივილებს იწვევს ჩრდილოეთ მეზობლებში. შეხედეთ ახლა საქართველოს რუქას, ნახეთ როგორ დაწყლულებულია და შეჭრელებული ჩვენი მოსახლეობა. ხერხემალი ჩვენი ტერიტორიისა—ლიხის მთა ორთავე კალთებით დაჭერილია არა ქართველი ელემენტებით და საქართველოს ორათ გაწყვეტის განუწყვეტელ მუქარას წარმოადგენს. რკალი წამოსული ჩრდილოეთით აქ არ თავდება და უვლის „სოციციანოს“—და მას შემდეგ როცტაშის კარზე ოსმალეთმა თავის მუქარა ამართა—ჩვენ ყელებს მუდამ ღიათ სტოვებს. თქვენ იცით რომ ხელოვნურად, რუსული პოლიტიკის მიერ, ნაწარმოები შეჭრელება—ამით არ გათავებულა და ამავე პოლიტიკამ იმავე მამისონით წამოიღო მეორე ხაზი მოსახლეობისა—გადმოზილა ლიახვისა და მეჯუდის სათავე და, ზახორ-ლეხურის ხეობით რკინის გზას მოადგა სოფელ ნიქოზათი. თქვენ გახსოვთ უკანასკნელი ეტაპი ამ პოლიტიკისა, თქვენ გახსოვთ—ეგრეთ წოდებული „პოლიგონის პროექტი“—რომლის ავტორს—რუს გენერალს,—თქვენ სახელმწიფო მოღვაწენო, ოსმალეთთან ომის დროს ჯარის მთავარსარდლობა ჩააპარეთ. ამ პროექტით უნდა აყრილიყო ის ქართული სოფლები, რომელიც აი ამ რკალში მოჰყვნენ. თქვენ წარმოდგენილი გაქვთ—რა იქნებოდა დღეს, ამ ანარქიის დროს, საქართველო? ზედ ხერხემალზე იქმნებოდა დღეს ორად გადაწყვეტილი და დასავლეთი საქართველო სრულიად, დაშორებული იქმნებოდა აღმოსავლეთს, რომლის ბედი, მე მგონი, გადაწყვეტილი იქნებოდა არა ქართული ინტერესების მიხედვით. თქვენ გახსოვთ რა როლი ითამაშა მაშინ ტირიფონის მიდამოებში მოსახლე ოსობამ, მაშინ როდესაც ქართველობა ირჩევდა სიკვდილს თავის მიწაწყალზე, ვიდრე აყრას, და ასეთი მაგალითიც იყო, რომ 80 წლის მოხუცმა სტეფანე შატრებაშვილმა სიკვდილი არჩია და ამყრელი კომისიის თავმჯდომარის მისვლისას ელდას გადაჰყვა, ოსურმა სოფლებმა კი რენემ, ნანრეტმა, ორჯოშანმა და ნიქოზამ—განაჩენი გამოიტანეს, რომ ისინი მომხრენი არიან გადასახლებისა, და გენერ. მეამანდაროვმა, კომისიის თავჯდომარემ ამას წაავლო ხელი. ჩვენ ვიცით, რომ შემდეგ ეს ოსური სოფლები პოლიგონის გარეშე დარჩენ და მათ აყრა აღარ მოელოდათ. ვიცით ისიც, რომ დაპირებანი შორს მიდიოდენ და ამან შესაფერი იდეოლოგიც შექმნა ოსებში. თქვენ შემთხვევა გქონდათ მოგესმინათ თქვენის ყურით ამ იდეოლოგიის პრეტენზიები. რევოლიუციის პირველ დღეებში, როდესაც ჩაისახა ჩვენ მეზობლად „ჩრდილოეთ კავკასიის მთიულთა ფედერაცია“ და მათ მისვლა-მოსვლა გამართეს ჩვენთან—მათმა წარმომადგენელმა ეროვნობით ოსმა შემდეგი მოთხოვნილება წარმოგვიდგინა: საქართველოს ხელი უნდა აელო გორის და დუშეთის მაზრების ჩრდილო ნაწილებზე. საზღვარი წამოსული ცხინვალით, უნდა გადმოსულიყო ბიყრის და ზახორის ხეობით დუშეთის მაზრამდე. ისტორიული კლიტე, დარიალის ხეობა, რომლის გულისათვის ზღვა სისხლი დაუღვრიათ ჩვენ მამა-პაპას, და ამ საქართველოს თავისუფლების კართან მთა საფლავი აუგიათ სხვის ხელში უნდა გადასულიყო. აი ბატონებო, ორიოდე ანარეკლი იმ იდეოლოგიისა, რომელსაც თქვენ მალავთ, ოსები კი ძალიან აშკარად ამჟღავნებენ. ბ-ნს ლომთათიძეს ისიც კი მოუსმენია ოსთ დელეგატებისაგან ბ.ბ. ჯიოშვილისა და სხვ., რომ ოსები არასოდეს არ მოიხდიან საქართველოს წინაშე მოქალაქეობრივ ვალს—სამხედრო ბეგარისა თუ სხვა რამ სახით იქნება იგი. მოუსმენია, ადვილად მორიგებულან ალბათ და დღეს ჩვენ აქ საქვეყნოთ გვიცხადებს—ოსებს სუვერენული სახელმწიფოებრივი ცხოვრება სურთო. მაგრამ, სად ბატონებო? ოსეთში?—ღმერთმა გამარჯვება მისცეთ—ჩვენ თანაგრძნობის მეტი არაფერი დაგვრჩენია. მაგრამ თუ აქ, ბატონებო საქართველო ხომ მხოლოდ საქართველოა, აქ არიან მოსახლე ოსები და არ არის ოსეთი. და აი ამის შესახებ ვეკითხები ბატონ ლომთათიძეს—როგორ მორიგდნენ ისა და ოსების დელეგატები? როგორ მოათავსეს მათ სუვერენულ ერთეულში ჯავისა და საციციანოს ოსები? რა უყვეს მათ იმ ქართველობას, რომელიც მათ შორის ცხოვრობს. პირველთა მთლიანობამ, ხომ უკანასკნელთა საფლავზე უნდა გადაიაროს და როგორ გაიმეტა ბ-მა ლომთათიძემ ის ხალხი, რომლის წარმომადგენლათ ასეთის სიამაყით მოაქვს თავი? ან იქნებ თავიანთ პროგრამაში გამონახა ის ჯადოსნური მუხლი, რომელიც იშვიათის უებრობით მოუვლის ამას? კეთილ ინებოს—და ესეც გვიბძანოს მთავრობის პარტიის ორატორმა?

ჩვენი პასუხი კი აშკარა გახლავთ. ჩვენ ვეუბნებით ოსობას—თქვენი მოსახლეობა საქართველოში დღეს აი ასეთი გახლავთ-დღეს დამოუკიდებელი საქართველო ურიგდება ამ ფაქტს, მაგრამ თქვენგანაც მოითხოვს, რომ შეურიგდეთ მის დამოუკიდებლობას. თქვენ ძველათაც იცით-როგორია დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრება; თქვენ სრულ თანასწორათ თანაზიარნი იქნებით ყველა იმ ბედნიერებისა, რომელიც ექმნება მკვიდრ ქართველობას; თქვენ გექნებათ სრული გარანტია და საშუალება განავითაროთ თქვენი კულტურული, სულიერი და ქონებრივი ძალები. მოწინააღმდეგეს, მოღალატეს კი დამოუკიდებელი საქართველო ვერ შეურიგდება, ვერას გზით! აი ჩვენი პასუხი. ეს გახლავთ ის გზა, გზა კარგათ ცნობილი, რომლითაც უვლიათ და კიდეც ივლიან, ერთათ ქართველობა და საქართველოში მოსახლე არა ქართველი ერები. აი ამ გზისაკენ იწვევს ჩვენი შეკითხვა. ჩვენ სხვა საერთო გზა არ ვიცით.

აი ამ გზით გადაწყდება მხოლოთ ეს ეროვნული საკითხი და ჯერ კიდევ რუსეთის მთავრობის მიერ ხელოვნურად შექმნილი ეროვნული მოძრაობა. ეს გზა მისაღებია ჩვენთვის და ხელსაყრელია ოსებისათვისაც. თქვენ ამისათვის ბ-ბო საკუთარი სახელიც ვერ დაგირქმევიათ. თქვენ მას აგრარულ მოძრაობათ ნათლავთ და ამის დასაბუთებაში იჩენთ ისეთივე უვიცობას და უცოდინრობას, როგორც იჩენდით პირველში.

ბ-ნმა მინისტრმა განაცხადა: „ოსები, როგორც უფრო დაბეგრილები მემამულეებისაგან არანაკლებს სიმწვავეს აძლევენ აგრარულ მოძრაობას, ვიდრე ჩვენი გლეხკაცობაო“.

უნდა მოვახსენოთ ბ-ნ მინისტრს — ამის თქმა ამ სახელმწიფო კათედრიდამ სახელმწიფო მოღვაწეს არ ეკადრება, ვინაიდან იგი შეუწყნარებელი უცოდინარობაა ჩვენი სინამდვილისა და მისი ბოროტი გადამახინჯება გახლავთ. მე ვაცხადებ ამ კათედრიდამ რომ, ბარი და ბარში მოსახლე ქართველი გლეხობა ერთი ათად მეტათ დაბეგრილი იყო, ვიდრე მთა და ნამეტნავათ მთაში მოსახლე ოსობა. მე ვაცხადებ იმასაც, რომ ისტორიული საბუთები მხოლოდ ჩემის აზრის დამამტკიცებელი იქნება უკლებლივ და არც ერთი საწინააღმდეგო. ქვეყნის აშენებას, ბ-ბო, ქვეყნის ცოდნა უნდა, ცოდნა სრული, სწორი და სამართლიანი! ასეთი ცოდნით ქვენ ვაი თუ ქვეყანა ვერ ააშენოთ. მე, ეს ცოდნა ჩვენი ქვეყნისა-ნებას მაძლევს შემდეგი მოგახსენოთ: თუ მაინცა და მაინც აგრარულ ნიადაგზე გადაგაქვთ ეს საკითხი—მაშინ უნდა ბრძანოთ რომ თუ ქართველი გლეხი იბრძვის მიწისათვის და ბეგრის მოსპობისათვის, მაშინ ოსობა უნდა იბრძოდეს იმ პრივილეგიის შენახვისათვის, რომელიც მას აქვს შედარებით პირველთან. აქედან დასკვნის გამოტანა, ნება გვიბოძეთ, თქვენ მოგანდოთ, მეცნიერული სოციალიზმის წარმომადგენელს! გაისარჯებით და მეორე მოვლენაც დავასკნათ. ამ თეორიით თქვენ იცით, რომ რამდენათაც ღრმა არის ისტორიულათ პრეტენზიეები გლეხისა მიწაზედიმდენათ მართლა მწვავეა ბრძოლა ამ მიწისათვის. თქვენ ისიც იცით რომ ეს პრეტენზიეები მიწისა და მამულის მოვლისა და სიყვარულის კულტსაცა ჰქმნიან. გადაავლეთ თვალი საქაროველოს. სამწუხაროთ ოსები სრულიათ მოკლებულნი არიან ამ გრძნობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცა მოხვდნენ-ულვთოთ მოატიტვლეს საქართველო. ორიოდე მაგალითი: ისროლის ხეობაში-უძველესათ მობინადრე ქართველობამ შეინახა ტყე, მოსახლეობს იქ დღესაც, სულ ახლო ხანში შემოხიზნულმა ოსების სოფლებმა ბიყარმა, ხარულმა, ბიეთმა კალიასავით მოსვრიმა ტყე, ნაწილი გადასახლდა კახეთში და ბევრი თვენგანი ნახავდა ილდოკანის და ახმეტას შუა ახალ ახოებს, ამ, ერის დოვლათის უმოწყალო გავერანებას. ასეა ყოველგან. თქვენ იცით რა ხიფათს უმზადებს ეს ჩვენ ქვეყანას მისი ტოპოგრაფიის შეცვლით.

ალბად ეს მოვლენანი კარგად აქვს გათვალისწინებული განსაკუთრებით ბ-ნს ლომთათიძეს, რადგან ის ასე მოურიგებლად სცდილობს ქართველობას პირველობა მიუჩინოს ამ მოძრაობაში. ის გვაგონებს მახარაძეს და ცხინვალს. მახარაძემ ბ-ნებო მთელი საქართველო მოიარა, მაგრამ იგი მან ვერ აიყოლია.

აი მაგალითად, ის დუშეთის ამბების დროს, სოფ. ბარისახოშიაც იყო მთელი თავისი შტაბით, მაგრამ თავი ცოცხალი ძლივს წამოიღო იქიდან.

თუ ცხინვალის მოძრაობაშიაც ასეთი ადგილი ჰქონდა ქართველობას, როგორც ამას ლომთათიძე ამტკიცებს, რა უყავით ან მათი მკვდრები, ან მათი იარაღი ან მათი მეთაურები? თუ არ დასაჯეთ იგინი—რა უფლებით გამოიჩინეთ თქვენ ასეთი მიკერძოება? რომელი „აგრარული“ მოსაზრებით იბრძვის და წინამძღოლობს „სტანიცა ნოვო-ხრისტიანოვკელი“ ოსი—აბაევი სამხედრო გზაზედ? ეს ის აბაევია, რომელთანაც მე და თქვენს უხუცეს ამხანაგს, ისიდორე რამიშვილს პატივი გვქონდა გვესაუბრა ეროვნული საბჭოსაგან დელეგატობის დროს, როგორც პასუხმგებელ პირთან ჩრდილოეთ კავკასიაში. აბაევი ხომ გამონაკლისი არ გახლავთ. დღეს ბლომად დაგისახელეს მათი გვარები. ასეთი ეროვნული ხასიათისა გახლავან ფაქტები თქვენი „აგრარული“ მოძრაობის შესახებ, ბატონებო, მაგრამ ფაქტებს თქვენ თქვენებურადა ხედავთ. წარსულმა თქვენმა მოღვაწეობამ საშინელი ფანატიზმისა და სექტანტობის დაღი დაასვა თქვენს ხასიათს; სამწუხაროდ დღესაც ვერ განთავისუფლებულხართ ამ სენისაგან და ამიტომაც არის თქვენ მოწინააღმდეგეთა სიტყვებში ასეთი აშკარა ჭეშმარიტების შესახებ კითხულობთ არა იმას, რაც შეეფერება სახელმწიფოებრივ ობიექტივიზმს, არამედ იმას, რაც სწორედ სექტანტის თვისებაა. თუ ეს ასეა და ჩვენი არ გჯერათ, მაშინ გადიკითხეთ თქვენი კაცის სიმონ შადურის წერილები ამ ამბების შესახებ დღევანდელ „ერთობაში“ და თუ კიდევ შეგრჩენიათ უნარი და ვაჟკაცობა სინამდვილეს თვალი გაუსწოროთ—მაშინ ბრძანეთ რა არის ეს მოძრაობა აგრარული თუ ეროვნული? და თუ ეროვნულია—მოსავლელი გზაც შესაფერი გამონახეთ, თქვენ იცით ჩვენი აზრი ამ გზაზედ. საქართველოს მიწა-წყალზე მოსახლე ერებმა აღიარონ მისი დამოუკიდებლობა და საქართველოც პატივცემული უნდა იყოს მათი ფულებებისა. მუხახათურ საქციელს, ვის მხრიდაც უნდა იყოს იგი, საქართველო ვერ შეურიგდება. მოქალაქობრივი უფლებანი და აგრეთვე მოვალეობანი ყველასათვის ერთი იქნება საქართველოში. როგორც პირველი თანასწორ მოეფინება ისე მეორეც თანასწორ დაეკისრება ყველას. ნურც იმას იწყენს ოსობა—თუ საქართველო ვერ შეჰპირდება იმ „პრივილეგიას“ შენახვას, რომელსაც მათ „ვოსტორგოვ-სტრაჟნიკობა“ ანიჭებდა. ასეთი გამათახსირებელი პატარა ერებისათვის პოლიტიკა საქართველოს მის დღეში არ უწარმოებია და ღმერთმა მომავალშიაც აშოროს ამ გზას.

თქვენ აქ შეეხეთ სხვათა შორის თიანეთის მაზრას. რა იცით ამ მაზრის შესახებ? ხომ თქვენს ხელთ არის ის გამოძიება, რომელიც ჩამოიტანა თქვენ მიერ საგანგებოდ გაგზავნილმა პირმა. მე კი მოგახსენებთ, რომ რევოლუციის შემდეგ თიანეთის მაზრაში არ მომხდარა არც ერთი კაცის მკვლელობა. ეს იყო ერთად-ერთი კუთხე, რომელიც არ აიტაცა კლასობრივ პოლიტიკაზე ქადაგმა. ეს ის კუთხეა, რომელმაც ძველ რუსეთს გადაჭრით განუცხადა, რომ საომრად არ წამოვალო, ხოლო როდესაც დაინახა, რომ საქართველოს გასაჭირი დაადგა,—აქ გახლავთ. იმ დროს, როცა ჩვენი შერყვნილი ჯარი აკაკი ჩხენკელს იჭერდა 400 ხევსური მოგცათ იმ მაზრამ, რომელსაც აქ ლაქა ესმება. თქვენ კარგად იცით რა სიგმირე გამოიჩინეს მათ ბრძოლაში: 70 კაცმა 500 ოსმალო დაგიწვინათ. დ აი ამ მაზრაზე თქვენ ლაპარაკობთ ასე ტრაფარეტულად.

არ შეიძლება ბატონებო, ოსების საკითხი იმავე მასშტაბით გასინჯოთ, რა მასშტაბითაც სინჯავთ რუსების, სომხების და სხვათა საკითხს.

აი ბატონებო, როდესაც ასეა საქმე, ისე ლაპარაკი, როგორც თქვენ ლაპარაკობთ ეს მარტო ლაპარაკი კი არ არის, არამედ ეს არის მოღალატეობა ჩვენი ერის წინაშე, დანაშაულობა ოსების წინაშე.

## „ს.-დ- და სახელმწიფო ორგანიზაცია“

ნ. ნ. ჟორდანიას მოხსენება

საქართველოს კონსტიტუცია ფაქტიურად დამყარებულია სამ დემოკრატიულ კლასზე—მუშებზე, წვრილ ბურჟუაზიაზე და გლეხობაზე, რომელთა ცხოვრების ინტერესები დემოკრატიულ პოლიტიკურ დაწესებულებებს თხოულობენ. ამ სოციალურ საფუძველზე შეიძლება მხოლოდ ერთი სახელმწიფოებრივი გამგებლობის ფორმა აშენდეს—რესპუბლიკა. ჩვენ იმ ერთა და სახელმწიფოების მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომელთაც შესძლეს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ძლიერი ბურჟუაზიის აღმოცენებამდე, რომელიც თავისი ბუნების მიხედვით ვერ ითმენს ამგვარ წესს.

რა არის დემოკრატიული რესპუბლიკა?

კ. მარქსი ასახელებს რესპუბლიკის სამ ფორმას: პარლამენტალურს, დემოკრატიულს და სოციალურს.

კაუცკი ამბობს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ერთად-ერთი პოლიტიკური ფორმაა, რომელსაც სოციალიზმთან მოთავსება შეუძლიანო. ამიტომ საბოლოოდ რჩება მხოლოდ რესპუბლიკის ორი ფორმა—პარლამენტალური და დემოკრატიული.

1849 წ. ტიერმა პირველად დაარქვა საფრანგეთის რესპუბლიკას პარლამენტალური. კაუცკი სწერს: ბურჟუაზიას შეუძლიან იბატონოს მხოლოდ პარლამენტალურ მონარქიის დროს, რომლის მმართველი მარტო დეკორაციას წარმოადგენს, ე. ი. აუცილებელი მოთხოვნილება ბურჟუაზიისა არის პარლამენტალური რეჟიმი, სულ ერთია როგორ ფორმაშიაც არ უნდა იყოს იგი, რესპუბლიკაში, როგორც საფრანგეთშია, თუ მონარქიულში, როგორც ინგლისშია.

ერთი სიტყვით ბურჟუაზიული, რესპუბლიკანურ-პარლამენტალური რეჟიმის დამახასიათებელია ის, რომ მთელი უფლება, როგორც კანონმდებელი ისე აღმასრულებელი პარლამენტის ხელშია მოქცეული. თვითმპყრობელ მეფის მაგიერ—თვითმპყრობელი პარლამენტი, თავად-აზნაურობის მაგიერ—ბურჟუაზია. ცენტრალური უფლების უაღრესად გაძლიერების პრინციპი ერთი და იგივეა, მხოლოდ ფორმა და საშუალებაა სხვა. როცა ბურჟუაზია ეკონომიურ უფლებას ხელთ იგდებს, მაშინ პოლიტიკურსაც ავლებს ხელს და პარლამენტალურ რეჟიმის წყალობით კანონების გამოცემაც და ასრულებაც მის ხელში რჩება. პარლამენტარული რესპუბლიკა იგივეა, რაც პარლამენტარული მონარქია უმონარქიოთ, დ თავის სტრუქტურით იმასვე წარმოადგენს, მხოლოდ უპრეზიდენტოდ. დამახასიათებელი მისი თვისება არც პრეზიდენტია და საყოველთაო არჩევნების უფლება, არამედ პარლამენტარული რეჟიმი, ე. ი. ბურჟუაზიის პოლიტიკური დიქტატურა, რომელსაც ძალა-უფლების ყოველივე მხარე აქვს ხელში ჩაგდებული. ამიტომ არსებული წესის ცენტრში შეცვლა, ნიშნავს წესის შეცვლას მთელ სახელმწიფოში, რადგან არსად პერიფერიებში კონსტიტუციონალური შეფერხება არ დახვდება.

მაგალითად, შვეიცარიაში, ცენტრში, რომ მოახდინოთ არსებული წესის შეცვლა, ამით თქვენ კანტონებში ამას ვერ გაავრცელებთ და ასეთივე შეცვლა, რომ პარიზში მოხდეს ამით მთელი საფრანგეთის სახელმწიფოებრივი მექანიზმი შეიცვლება.

ამნაირად პარლამენტარული რესპუბლიკა ნიშნავს ისეთ პოლიტიკურ წესწყობილებას, სადაც ცენტრის ბრძანებისა სურვილის გარეშე არაფერი არა ხდება.

რაკი ხალხმა აირჩია წამომადგენლები და პალატაში გაგზავნა, მას ამის შემდეგ აღარას კითხავენ და მართვა-გამგეობაში მონაწილეობას არ აღებინებენ.

ერთი სიტყვით პარლამენტარული გამგეობა ვერ იგუებს ხალხის პოლიტიკურ თვითმართველობას.

პარლამენტარულ რესპუბლიკიდან პრინციპიალურად განსხვავდება დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ხალხის პოლიტიკურ თვითმართველობის პრინციპზეა აგებული. აქ ძალა-უფლება მარტო პარლამენტში, ცენტრში კი არარის დაგროვილი, არამედ ნაწილდება პერიფერიებს შორის. ხალხი მარტო ცენტრში კიარ ირჩევს დეპუტატებს, კანონმდებლებს, ირჩევს აგრეთვე აღმასრულებელს, ადმინისტრაციას, მოსამართლეებს და სხ.

მაშასადამე დამახასიათებელი თვისება დემოკრატიული რესპუბლიკისა არის ის, რომ ხალხი თვით ღებულობს მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა გამგეობაში.

ამიტომ საჭიროა ხალხს ჰქონდეს პარლამენტისაგან დამოუკიდებელი მართველობის ორგანოები. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა მოქალაქეთა ამა თუ იმ დადგენილებებს ცენტრალური მთავრობა აუქმებს, იქმნება არა-დემოკრატიული, არამედ პარლამენტარული რესპუბლიკა.

მარქსის აზრით სახელმწიფო უნდა: გააუბრალოვოთ, შეამციროთ მართველობის მექანიზმი, შესაძლებლობის ფარგალში იყოლიოთ ნაკლები მოხელეები, ნაკლებათ შეიბოჭო ბურჟუაზიული საზოგადოებით; საზოგადოებრივი აზრისა და ბურჟუაზიული წრეებისათვის დაარსო მთავრობისაგან დამოუკიდებელი თვითმართველობის ორგანოები.

პარლამენტსა და ხალხის შორის ამ გვარად დანაწილებული ძალა უფლება გარანტიას იძლევა, რომ ცენტრი ვეღარ ჩაერევა პერიფერიების შინაურ მართველობაში და მაშასადამე ამით ბურჟუაზიას უვიწროვდება პოლიტიკური დიქტატურის ასპარეზი.

თუ კი მაგალითად ცენტრი გამოსცემს კანონს და ამას აასრულებენ თვით ხალხის მიერ არჩეულნი პირნი, ან ცენტრისაგან დამოუკიდებელი რომელიმე ორგანო, ცხადია, რომ ამით ისპობა ბიუროკრატია, და მთავრობა უმოხელეებოთ რჩება.

ან და მთავრობის მიერ გამოცემულ კანონს თუ ხალხი უარსა ჰყოფს და არ მიიღებს, ამითი პარლამენტს ესპობა უმაღლესი კანონმდებლობითი უფლება ხალხის მიერ შეკვეცილი. როგორცა ხედავთ დემოკრატიული რეჟიმი უარსა ჰყოფს პარლამენტარულ რეჟიმს. ამის და მიხედვით იცვლება კიდეც მთავრობის ხასიათიც. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არ არის რომელიმე პარლამენტის კაბინეტი, რომელიც პარლამენტის მერყევ უმრავლესობაზეა დაყრდნობილი, არამედ არის მოსაქმეთა კოლეგია, რომელიც ხმის ამოუღებლივ ასრულებს როგორც პარლამენტის, ისე ხალხის დადგენილებებს. უფლებათა ამ გვარი კონსტრუქციის გამო, იგი ვერასოდეს ვერ დაირაზმება ხალხის წინააღმდეგ და ხალხს ვერ მოშორდება. აქ უფლება პირ-და-პირ ხალხიდან იშვება და იმდენად მჭიდროთ არის მასთან დაკავშირებული, რომ მათ შორის ძნელია დემარკაციონული საზღვრის ხაზის პოვნა.

ხალხი და მთავრობა წარმოადგენს ერთს მთელს ერთი ნებით და ერთი მოქმედებით.

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

29 აგვისტო

ბ ე რ ლ ი ნ ი, 29 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი კრონპრინც-რუპრეხტის და ბოინეს ლაშქარი. ინგლისელმა ჯარებმა სკარპთან შემოუტიეს, მაგრამ ისინი ჩვენმა ცეცხლმა უკუ აქცია. შუადღისას მტერი შეეცადა ფრონტის გარღვევას, სკარპისა და ხეხებახის შუა მტერი 5 ჯერ გადავიდა იერიშზე, პრუსიის ჯარებმა დაამარცხეს მათი შეტევები.

მკაცრი ბრძოლა იყო ბუარინოტრ-დამთან. ამ ადგილის ნანგრევები სამჯერ გადმოვიდა ჩვენს ხელში. საღამოს ახალი შეტევის შემდეგ ეს ადგილი მტერს დარჩა. არას-კამბრეს გზატკეცილზე მტერმა 7-ჯერ შემოუტია, ყოველ შემოტევაზე გზატკეცილით გვიახლოვდებოდნენ ჯავშნოსნები, რომლების უკან ქვეითა ჯარი მოდიოდა. ძლიერი ტყვიის მფრქვეველების ცეცხლით მტერი ყოველგან უკუ ვაქციეთ.

27 და 28 აგვისტოს ტილუასთან განსაკუთრებით თავი ისახელა № 206 ქვეითა ჯარმა, სომის ჩრდილოეთით მტერმა განაახლა თავისი შეტევები. ფლერ და კურლიუს შორის გარდეკურდთან მტერი შემოიჭრა ჩვენს ხაზებში, მაგრამ მაშინვე უკუ ქცეულ იქმნა.

სომის და უზას შუა ჩვენი ავანგარდები სასტიკად იბრძვიან. აქ მტერი ძლიერ დაზარალდა. ნაცინის სამხრეთ დასავლეთით მტერმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს, რომელიც ჩვენ აღარ გვეჭირა. ნუაიონი ფრანგებმა ძლიერ ცეცხლში გახვიეს. მდ. ენის ჩრდილოეთით ფრანგებმა განაახლეს შეტევები, რომელიც მოვიგერიეთ, მტერი. ძლიერ დავაზარალეთ.

ვ ე ნ ა, 29 აგვ. სამხედრო ცნობა. იტალიის ფრონტი. იუდიკაფინტში, ბეზეკთან მზვერავ რაზმების შეტაკება სწარმოებს.

30 აგვისტო.

ა ლ ბ ა ნ ე თ ი ს სამხედრო მოქმედების ასპარეზი. ურიკა და ფოუზის შორის და აგრეთვე ტომორის მთების სამხრეთ ნაწილში მტერმა ახალი პოზიციები დაიჭირა.

ს ტ ა მ ბ ო ლ ი. 29 აგვ. სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. მარჯვენა ფლანგით ჩვენ შეუდექით პატარა რაზმით თავდასხმას მტრის ხაზის გასწვრივ, რის გამო ზღვის ნაპირებზე მტრის არტილერიამ თავის მოქმედება გააძლიერა. იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირას დიდი ბრძოლაა გაჩაღებული. 25 აგვისტოს ბეირ-ხერგისთან გეჯანის რკინის გზის პირად ჩვენმა ჯარმა მეამბოხეთა შეტევა მოიგერია.

ა ფ რ ი კ ი ს ფ რ ო ნ ტ ე ბ ი. 11 აგვისტოს იტალიანების კომიდან გამოსვლა შევაჩვრეთ. უკანასკნელ დამატებითი მიღებულ ცნობით, მტრის ერთი ჰაეროპლანი, რომლებიც 27—28 ღამით სტამბოლს ყუმბარებს უშენდა, იძულებული იყო ჩვენი არტილერიის ცეცხლით, სტამბოლის ახლო ძირს დაშვებულიყო. ჰაეროპლანი დაიწვა, დაჭრილი მფრინავი, ინგლისელი კაპიტანი, ტყვედ იქმნა წაყვანილი.

პ ა რ ი ზ ი 29 აგვ. სამხედრო ცნობა. გასულ მთელ დღე-ღამის განმავლობაში ფრანგებმი აძლიერებდენ თავიანთ მოქმედებას არხების ახლოს (გამოშვებულია) საფრანგეთის ჯარებმა აიღეს ტყე კვესენცი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით კიულიდან და ბოტტინიდან. სამხრეთით ბრძოლამ ჩვენ მოგვცა გამარჯვება. საფრანგეთის ჯარებმა დაიპყრეს ნუაიონი და დაუხლოვდენ აპპრინკურტის სამხრეთით მდებარე მიდამოებს. (გამოშვებულია) ჩვენმა ჯარებმა ხელთ ჩაიგდეს რამოდენიმე ასეული ტყვე.

მ ო ს კ ო ვ ი. 22 აგვ. ცენ. აღმ. კომ. ბეჭვდითი ბიუროს ბილიუტენები.

ფრანგ-ინგლისელების მიერ არხანგელსკში და მათ ჯარების მიერ დაპყრობილ ადგილებში ვაჭრობის თავისუფლად გამოცხადებამ მეტად ასწია ფასები პირველ მოთხოვნილებათა ნივთებზე. ამ გარემოებამ გამოუსვლელ მდგომარეობა ში ჩააყენა მუშები, რადგანაც დაწესებულებათა ლიკვიდაციის გამო დათხოვნილ არიან და კუთვნილ ფულიდან მხოლოდ 20% ღებულობენ.

ფრანგ-ინგლისელების სამხედრო ძალები, თუ მხედველობაში მივიღებთ რუს თავისუფალ მეომრებსაც, 5.000 კაცს აღემატება. მოკავშირეები თავიანთ ძალების დახარჯვაში ძლიერ ანგარიშიანი ხალხი გამოდგენ და ბრძოლაში მხოლოდ რუსის თავისუფალი მეომრები იღებენ მონაწილეობას; ამან კი დიდი ყურადღება მიიქცია თავისუფალ მეომართა შორის და დიდი აღელვება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

უკანასკნელი დეპეშები ჩრდილოეთ დვინაზე ჩვენ სასარგებლოთ დამთავრებულ ბრძოლის შედეგებს გვაცნობებენ, სადაც ჩვენმა ჯარმა სად. ტუგანსკაია აიღო.

თეთრ-გვარდიელების მიერ იგენგურის და ხოლმოგორის მაზრებში გამოცხადებულ მობილიზაციამ მცხოვრებთა შორის აღელვება გამოიწვია, რომლებიც თეთრ გვარდიელების განკარგულებებს არ ასრულებენ.

ფრონტებთან მდგომი ჩვენი ჯარები ომში წასვლას მოითხოვენ ჩეხო-სლოვაკების ბრბოთა სამუდამო აღმოსაფხვრელად, ურალის და ციმბირის მუშების გასანთავისუფლებლად, გლეხთა კადეტებისაგან დახსნას და ციმბირის პურის მოსაზიდათ და თავისუფალ გზის [illegible] ცენტრისათვის.

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დეკრეტით უქმდება კერძო საკუთრება მიწისა რესპუბლიკის ყველა ქალაქებში და შენობათა კერძო საკუთრება ქალაქებში, სადაც 16,000 კაცზე მეტი მცხოვრებია. ასეთი მიწები და შენობები მუნიციპალიზაციის დარგში ინიშნება.

### უცხოეთი.

საფრანგეთი.

კლემანსომ განკარგულება მოახდინა, რომ შენდე-დამთან ბრძოლაში მონაწილე სარდლები სამართალში მისცენ. პალატის წევრები მათ სიკვდილით დასჯას მოითხოვენ ვინც დამნაშავეა შეთანხმებათა ჯარები დამარცხებაში. ამ ახლო ხანებში პარიზში დაიწყება გენერალების გასამართლების პროცესი.

ფინლიანდია.

როგორც ხმებია, ფინლანდიაში მონარქიის გამოცხადება გამოიწვევს საფრანგეთსა და ფინლიანდიის შორის დამოკიდებულების შეწყვეტას, რადგანაც საფრანგეთი აცხადებს, რომ იგი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს ახალ წესწყობილების დამყარებაში, რადგან ეს გერმანიის მეოხებით ხდებაო.

„ბერ. ტამ.“ მოთავსებულია ცნობა, რომ ფინელ ებრაელთა მდგომარეობა ეხლა ბევრათ უფრო საშინელია, ვიდრე ეს ცარიზმის დროს იყოო.

ციმბირი.

როგორც შვეიცარიიდან იუწყებიან ამერიკელები და იაპონელები ვლადივასტოკში აწყობენ მოწინავე მთავარ ბანაკს. აგვისტოს პირველ რიცხვებში იქ ჩაიტანეს ამერიკიდან 65 ორთქმავალი და აუარებელი სასანიტარო მასალა, ჩამოვიდა ბევრი ინჟინერი, რომელიც ციმბირის მთავარ მაგისტრალზე მუშაობს.

# ახალი ამბები.

მთავრობაში.

○ მთავარ შტაბმა დაადგინა ეთხოვოს მიწათ მოქმედების სამინისტროს მისცეს სახალხო გვარდიას100 ათასი ფუთი თივა ერთი წლის სახარჯოდ.

○ მთავრობის თავმჯდომარის მიერ ქართულ ჰიმნთა ჟიურეში მონაწილეობისთვის დანიშნულ იქმნა მთავრობის წარმომადგენლად ლექსანდრე ჩოჩია (აბაშელი).

○ სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო გენ. მაყაშვილისაგან: „მე ჩემი რაზმით, რომელშიაც შედიოდენ გერმანელებიც, შევედი და დავიბანაკდი აწყურში. გერმანელებს ხვალ დავაბრუნებ ბორჯომში. დღეს ლორუზაძის და აწყურის ყოფილ კომენდანტის ადგილობრივ მცხოვრებთა ოსმალეთის და გერმანიის მხედრობის წარმომადგენელთან ერთად შეუდექით სოფლის დათვალიერებას, რომელიც ძალიან დაზიანებულია. ხოლერის თავიდან ასაცდენად მე განკარგულება გავეც რომ გარეშე პირნი არ შემოვიდნენ აწყურში. დროებით საზღვრის დასანიშნად საჭიროა მიწის მზომლის გამოგზავნა.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. მ. გედევანიშვილმა შუამდგომლობა აღძრა, რათა რაზმები, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზას იცავენ, დაუქვემდებარონ თავდაცვის ნაწილის უფროსს პოდპ. მაჭავარიანს.

○ შინაგან საქმეთა მინისტრმა ფოთის ქალაქის თავს მოსთხოვა პასუხი ქუთაისელ ებრაელ ვაჭართა დაპატიმრების შესახებ, რომელნიც მიემგზავრებოდენ რუსეთის სავაჭროდ.

○ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისწერა ბაკურიანის კომისარს დახმარება აღმოუჩინოს იმ ლტოლვილებს, რომლებიც თანახმად მიწად-მოქმედების სამინისტროს დადგენილებისა მიემგზავრებიან ყარაიაზის ველზე დასასახლებლად.

## ჯარში გაწვევა

○ გადაწყვეტილია ჯარში გაიწვიონ (მუსულმანთა გამოკლებით) ყველა ის ახალგაზდები, რომელნიც დაბადებულნი არიან 1895-1899 წლებში. ჯარში გასაწვევი ყმაწვილები უნდა გამოცხადნენ სექტემბრის ათამდე. ვინც ამ დღეებში არ გამოცხადდება დეზერტირად აითვლება და გადაეცემა სამხედრო ტრიბუნალს.

## სახალხო გვარდია

○ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბმა დაადგინა: 1) ეთხოვოს მიწად-მოქმედების სამინისტროს მისცეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ასი ათასი ფუთი თივა ერთი წლის სახარჯოდ, 2) დარჩეს სიღნაღში სახალხო გვარდია და მიეცეს მას საჭირო კრედიტი, 3) მიეცეს სახალხო გვარდიელებს დღეში ორი გირვ. პური.

○ სახალხო გვარდიის წევრმა ეღენტმა მოხსენება გააკეთა ცარსკი კალოდცის (დედოფლის წყაროს) სახაზინო ქონების შესახებ. სახალხო გვარდია ყოველივე ღონეს ხმარობს ამ ქონების გამოსატანად.

## სტამბოლის კონფერენცია

○ სტამბოლის კონფერენცია გაიხსნა. საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ ის არ სცნობს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას.

## ხელოვნება.

○ ჰიმნთა შეჯიბრების ჟიურეში შედიან პროფ. ჩერეპნინი, კომპოზ. ნიკოლაევი, პროფ. ლევიცკი, მ. ი. კომპოზ. ბალანჩივაძე, კომპ. ი. ყარაშვილი, კ. მაყაშვილი ალ. ახმეტელი, ი. ა. ბარათაშვილი, ვლასა მგელაძე ალ. ყანჩელი. შეჯიბრებაზე მოწვეულ არიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, მინისტრები, ეროვნულ საბჭოს წევრნი, ყველა ფრაქციათა წარმომადგენელნი, ხელოვნებისა და მუსიკის მესვეურნი. შეჯიბრებაზე წარმოდგენილი ჰიმნები შესრულდება კლუბის ღია სცენაზე, რომელიც საგანგებოდ იწყობა ამ დღისთვის.

## ადმინისტრაცია.

○ საგანგებო რაზმმა შეიპყრო მუგდუსი აკოპოვი, რომლის სტამბაშიაც 40 კოლოფი დამალული ლუქი აღმოაჩინეს.

— საგანგებო რაზმმა ი. დავიდოვის სახლში აღმოაჩინა 8 ფუთი ჩაი.

## მკვლელობა.

○ 29 აგვისტოს ღამის 11 ს. მუშათა ქუჩაზე მცხოვრებ ვ. ჯანიაშვილს უცაბედათ გაუვარდა რევოლვერი და ტყვია მოხვდა ა. მარცვალოვს, რომელიც უკვე გარდაიცვალა.

## ხოლერა.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 3 ხოლერიანი და 6 საეჭვო ავადმყოფი. სახოლერო განყოფილებაში გადაყვანილია 2. გარდაიცვალა 8 ხოლერიანი და 1 საეჭვო ავადმყოფი. გამოეწერა 2. 29 აგვისტოს იყო 76 ხოლერიანი და 19 საეჭვო ავადმყოფი.

## კავკასიის ამბები

○ როგორც კავკავიდან ჩამოსულმა გადმოგვცა ფინანსთა მინისტრად თერგის მთავრობას აურჩევია ფილიპე მახარაძე

## საზოგადოებანი და კრებები

○ კავკასიის ქალაქთა კავშირის საოლქო კომიტეტი იწვევს თბილისში, ამა წლის 5 სექტემბერს იმ ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობას, რომლებიც შედიან კავკასიის ქალაქთა კავშირში, შემდეგი კითხვების განსახილველათ:

1. სამხედრო ქალაქთა კავშირის მოქმედების ანგარიში უკანასკნელ ყრილობის დღიდან.
2. მუნიციპალურ სოგორის განყოფილებათა მოქმედების ანგარიში.
3. კავსოგორის მომავალი არსებობა.
4. კავკასიის საოლქო კომიტეტის არჩევა.
5. სახალხო განათლების განყოფილება და მისი პროგრამა.
6. როგორის ეკონომიური და სტატისტიკური განყოფილების დაარსება და მათი პროგრამა.
7. ქალაქთა აგრონომიული წარმოება, საადგილ-მამულო ფონდის დახმარებით და შესაფერ დაწესებულებათა დაარსება.
8. სოგორის სმეტა.
9. მომავალში ზემგორის დაარსება. ყრილობაზე წარმომადგენლები იქმნებიან ამა თუ იმ ქალაქის ყოველ 20 ხმოსანზე ერთი წარმომადგენელი. ქ. ტფილისში მყოფნი, ქალაქების მოურავები, თვითმართველობის წევრები და ხმოსნები კი მოწვეულ იქნებიან სათათბირო ხმის უფლებით.

○ შაბათს, 31 აგვისტოს ნაშუადღევს 5 საათზე მომარაგების კომიტეტის (კომიტეტ სნაბჟენია) ბინაზე სერგეევის ქუჩა № 13. შესდგება საზოგადო კრება ყველა მოსამსახურე თანამშრომელთა იმ დაწესებულებების, რომელნიც ექვემდებარებიან ხსენებულ კომიტეტს, ვინაიდან კრებაზე მეტად საყურადღებო საკითხები იქნება გარჩეული ყველა თანამშრომლების დასწრება აუცილებელია.

## სხვა და სხვა ამბები.

○ გერმანიის მისიას რადიოთი ატყობინებენ, რომ მოხალისეთა ჯარმა აიღო ნოვოროსიისკი.

○ დონის მთავრობამ გაგზავნა ბერლინში თავისი წარმომადგენელი გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

○ გერმანიის მისიას ცნობა აქვს რომ ყაზახები ემზადებიან ხელ-ახლად შეუტიონ კავკავს.

○ გერმანიის მისიის ცნობით თათრებს არ სურთ ბაქო შეტევით აიღონ, რადგანაც ეს დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

## რკინის გზაზე.

○ გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო განყოფილებაში 26 და 27 აგვისტოს მოხდა საქართველოს რკინის გზის და განყოფილებათა უფროსების მონაწილეობით კომისიის სხდომა საექსპლოატაციო განყოფილების უფროსის, ა. ა. ტოლსტონოგოვის თავმჯდომარეობით. განხილულ იქმნა პროექტი რკინის გზით საერთო სარგებლობის შესახებ. კომისიამ საჭიროდ სცნო: 1. დაარსდეს თბილისში სახელმწიფოთა შორის ბიურო გზათა საექსპლოატაციოთ ტეხნიკური და კომერციული მხრით; 2. ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს დაწვრილებითი სიტუაცია მოძრავ შემადგენლობის; 3. ორთქლ-მავალების აღწერა; 4. მოძრავ შემადგენლობაზე უნდა იყოს რესპუბლიკის გზათა ინიციალები; 5 მთელი მოძრაობის შემადგენლობა შეიძლება შეკეთდეს თბილისის მთავარ-სახელოსნოებში: 6. ორთქლ-მავალები შეიძლება მხოლოდ იჯარით გაიცეს; 7. ორთქლ-მავალები და ბრიგადები უნდა მოძრაობდნენ მხოლოდ რესპუბლიკის რაიონებში; 8. ვაგონები უნდა გადაეცეს გზიდან გზაზე გაცვლით, რომ ვაგონების დასაცლელი ხარჯი თავიდან ავიშოროთ. ვაგონების გაჩერებისთვის უნდა შემუშავებულ იქნას ჯარიმა. საბარგო საბუთები იმ ვაგონებზე, რომლებიც გადასცდებიან საქართველოს გზის საზღვარს, შედგენილ უნდა იქნეს რუსულ, ნემეცურ და თათრულ ენებზე; 10. ნავთსადენი უნდა ეკუთვნოდეს ამიერკავკასიის სახელმწიფოს, სამივე, რომელთა წარმომადგენლები იქნებიან ნავთ სადენის უწყებაში; 11. დეპეშები რესპუბლიკიდან რესპუბლიკაში გადაიცემა ლათინური ასოებით; 12. საერთაშორისო ენათ რკინის გზაზე იქნება რუსული.

## შესწორება.

○ 26 აგვისტოს სააგენტომ გადმოგვცა ცნობა რომ ფინანსთა სამინისტროს საბჭომ დაადგინა გააუქმოს თბილისის და ქუთაისის სახაზინო პალატები, ფინანსთა სამინისტროსთან დაარსა საგადასახადო განყოფილება. აღნიშნული ცნობები სიმართლეს მოკლებულია. თბილისის და ქუთაისის პალატების გაუქმების შესახებ საკითხი საბჭოში არ გარჩეულა, იყო მხოლოდ კერძო თათბირი, რომელმაც საჭიროდ სცნო აღნიშნულ პალატების გაუქმება და მათ მაგიერ თბილისში გადასახადების სამმართველოს და სახელმწიფო ხაზინის დაარსება.

# გ. ა. ხუნდაძე.

თბილისში ჩამოვიდა რუსეთში მყოფი საქართველოს წარმომადგენელი გაბრიელ ივანესძე ხუნდაძე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ მას თითქმის ორი თვის წინად გაუცხადებია საბჭოთა მთავრობისათვის, მაგრამ დღემდე ამის გამო არავითარი პასუხი არა აქვს მიღებული; თუმცა ამ ბოლო დროს სახალხო კომისართა საბჭოს უკვე ცვალებადობა დასტყობია საქართველოს რესპუბლიკის სასარგებლოდ.

აქაური ქართველობა დამოუკიდებლობის გამოცხადებას დიდის აღფრთოვანებით შეხვედრია. ყველანი თავგამოდებით იცავენ და ეხმარებიან ჩვენს წარმომადგენლობას, რომ რუსეთის მიერ რაც შეიძლება მალე იქმნას ცნობილი მომხდარი ფაქტი.

გ. ი. ხუნდაძეს რამდენიმე ხანია რაც ჩვენი მთავრობისათვის გამოუგზავნია ვრცელი და დაწვრილებითი მოხსენება საერთოდ იქაურ მდგომარეობისა და კერძოდ საგარეო პოლიტიკის ჩვენდამი დამოკიდებულების შესახებ.

კადეტები და საერთოდ ბოლშევიკები ძალიან მტრულად ეპყრობიან თურმე ჩვენს რესპუბლიკის შექმნას.

გ. ი. ხუნდაძე თბილისში ჩამოვიდა იმისთვის, რომ ჩვენმა მთავრობამ მომავალი მოქმედების გეგმა და ინსტრუქციები შეამუშაოს.

მთავრობასთან გამოგზავნილ მისი მოხსენების საერთო ანგარიშს ცალკე მოვათავსებთ.

# მთავრობა და სოფელი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დღევანდელი შემადგენლობის მთავრობა, რომელიც ენერგიულად შეუდგა ხალხის ინტერესების სამსახურს შესაფერისი რეფორმების ცხოვრებაში გატარებით, მოსვენებას არ აძლევს ყოველი ჯურის პროვაკატორებს, ყოფილ პოლიციელთ, წოდებით მოამაყე და აუარებელ მემამულეებს და სხვა. ამ წრეების წარმომადგენელთ სამოქმედო ასპარეზად დღეს სოფელი გაუხდიათ. აქ ეწევიან აგიტაციას აშკარად თუ მალულად. ხსნას ისინი ანარქიულ მოძრაობაში ეძიებენიმ იმედით, რომ ეგები მთავრობამ ვერ შესძლოს ანარქიის ჩაქრობა, მაშინ გარეშენი ჩაერევიან საქმეში და წართმეულ უფლებებს დაგვიბრუნებენო. ისინი სარგებლობენ ამ ჟამად გამეფებული სასურსათო კრიზისით, ყოველაფერს მთავრობის უმოქმედობას აწერენ, ხალხს ეუბნებიან: „აი თქვენი დემოკრატიული მთავრობაო, წინეთ პურიც ბევრი გვქონდა, ფეხსაცმელიც, ტანსაცმელიც, —ეხლა ხომ ხედავთ შიმშილი, სიშიშვლე, უნავთობა, ყოველაფერი უბედურება ჩვენ გვეწვიაო.“

შეუგნებელნიც, რა თქმა უნდა, ეგებიან პროვოკაციის ანკესსზე და თუთიყუშივით იმეორებენ იმას, რასაც პროვაკატორები ჩასჩურჩულებენ მათ ყოველ დღე... ჩვენი ნაციონალდემოკრატებიც არ აკლებენ ხელს და ასეთ ხმებს მოწოდებებით და ცალკე ფურცლებით ავრცელებენ ხალხში. მე ხელთა მაქვს ერ.-დ. ქუთ. საგუბერ. კომიტეტის მიერ საერობო არჩევნებისათვის დაბეჭდილი ფურცელი. ამოვიღებ ამ ფურცლიდან ერთ ადგილს: „სოციალისტების მთავრობამ მიიყვანა ჩვენი ქვეყანა საშინელ უფსკრულამდე. ტიტველნი და შიშველნი დღეს ყველანი ტყის ნადირს დავემგზავსეთ. უპურობამ მოგვსპო. დღეს თუ არა ხვალ შიმშილი ამოგვწყვეტს. ფულს დაეკარგა ფასი, ავაზაკთა ბრბოები დათარეშობენ მთელს საქართველოში. სწავლა ყოველგან შესწყდა... იმის მაგივრად, რომ ხალხის გადარჩენაზე იზრუნონ, სოციალისტები თავის მცირე ჰკუას ანდომებენ კერძო საკუთრების დარღვევას. უფლება და კანონი მოისპო. არავინ არ იცის რა არის მისი და რა არის სხვისი...“

კიდევ ბევრი საინტერესო ადგილების მოყვანა შეიძლებოდა ამ მოწოდების ფურცლიდან, მაგრამ ეს ადგილიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ რა ხასიათის, აგიტაციას ეწევიან მდაბიო ხალხში. ამ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა აზრით, მხოლოდ ერთად ერთს ნ. დ. პარტ. შეუძლია საქართველოს გაძღოლა, სასურსათო საქმეთა მოწესრიგება, ხალხის სამოთხეში შეყვანა... ეს რა თქმა უნდა, სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს.. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ყოველგვარი ასეთი აგიტაცია მთავრობის წინააღმდეგ ნამეტურ სოფლად დღევანდელ მომენტში, არსებითად დაუშვებელია და მიმართულია ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის და სახელმწიფოს სუვერენტის წინააღმდეგ. მილიციის შემოღების მიზანი სოფლად, სწორედ ის იყო, რომ ანარქიულ გამოსვლებს ფრთები შეკვეცოდა და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო. ამიტომ მთავრობამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მილიციონერების და სოფლის კომისრების არჩევის საქმეში და დაამტკიცოს მხოლოდ ისეთი პირები, რომლებიც მთავრობის და რესპუბლიკის ერთგულნი არიან და მზად იქნებიან ყოველთვის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები დაიცვან. საჭიროა გონიერი საავიტაციო მუშაობა სოფლად, მთავრობასა და სოფელს შორის დამოკიდებულების განმტკიცება, სოფლების წარმომადგენელთა ადგილობრივ მთავრობაში დრო გამოშვებით მოწვევა, თათბირი საერთო და ადგილობრივ საქმეებზე. ასეთი მუშაობა ხელს შეუწყობს წესრიგის დამყარებას, შავრაზმულ აგიტაციას და ანარქიას ფრთას შეაკვეცს. ამ მხრივ, სამწუხაროდ, სოფელში ჯერ კიდევ სულ ცოტა რამე კეთდება. ამიტომაცაა, რომ ზოგან არც კი იციან, ვინ არის მთავრობა, ვისგან შესდგება იგი, ან რას, ან ვის ემსახურება. მეტი ყურადღება სოფელს...

ვ. ო.

# სომხების ცხოვრებიდან.

„ორიზონი“ სწერს: სარწმუნო წყაროებიდან, გვატყობინებენ, რომ ჰეჯასის (არაბისტანში) მეფემ ჰუსეინმა 5000 სომეხი შეიფარა.

იგივე გაზეთი იტყობინება, რომ სარწმუნო წყაროების თანახმად, ჰეჯასში და პალესტინაში 12,000-მდინ სომეხი ყოფილა, რომელსაც თურმე ინგლისის მთავრობა ინახავდა. ამ სომხებს ეხლა ეგვიპტის სომეხ ლტოლვილთა დამხმარე საზოგადოება უვლის.

ამერიკის სომხები, „ორიზონის“ სიტყვით, აგროვებენ ერთ მილიონი ფრანკს ამიერ-კავკავის სომეხ ლტოლვილთა სასარგებლოდ.

პარიზში გამოდის ფრანგულ ენაზე ახალი სომხური გაზეთი „La voix de e' Arménie“ (ხმა სომხეთისა). რედაქციის კოლეგიაში შედიან გამოჩენილი პირნი. გაზეთის მიზანია ოსმალეთის სომხების საკითხს ემსახუროს.

როგორც „ორიზონი“ გადმოგვცემს ჟენევაში გარდაცვლილა ოვნან დავთიანი, ცნობილი დაშნაკცაკანი.

## გამოსადეგი ცნობები

# სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

## კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თელავიდან | დილის | 8 ს. | 28 წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 „ | 14 „ |
| თბილისში | „ საღამოს | 5 „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 „ | 58 „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 „ | 24 „ |
| თელავში | „ საღამოს | 5 „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 „ | 42 „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 „ | 15 „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 „ | 20 „ |

## განცხადებები

# წესდება

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა.

დედანზე წარწერილია: ვამტკიცებ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წესდებას თანახმად 6 ოქტომბრის 1917 წლის კანონისა (1917 წლის კანონთა კრებული, განყოფილება 1, მუხლი 2048). 30 ივნისს 1918 წელს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ჟ უ რ უ ლ ი.

სწორია: საქმის მწარმოებელი მ ა ჩ ა ბ ე ლ ი.

III. ქონება და არსებობის წყარო პალატისა.

§ 14. პალატის შესანახავ საჭირო ხარჯების დასაფარავად ყველა პირნი, დაწესებულებანი, სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობანი და საზოგადოებანი, რომელიც საქართველოში იღებენ სავაჭრო და სამრეწველო მოწმობებს (ან იხდიან სავაჭრო-სამრეწველო ძირითად გადასახადს და მოწმობას არ იღებენ) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შენახვაზე, მოიჯარადრობაზე და პირად ხელობაზე, რომელიც აღნიშნულ არიან 2—4 განყოფ. გადასახადის გაწერის სიაში შესახებ პირადი ხელობისა (Уст. прям. нал. ст. 449, прил.) გადაიხდიან ოთხ პროცენტს მთელი სახელმწიფო გადასახადისას —ძირითადისა და დამატებითისა.

§ 15. სავაჭრო-სამრეწველო პალატის სასარგებლოდ იხდიან გადასახადს აგრეთვე ის პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც განთავისუფლებულ არიან პირადი ხელობის ძირითად გადასახადისაგან თანხმად პირდაპირი გადასახადის წესდების 453 მუხლის მე-4 და 48—52 პუნქტებისა. წესი გადასახადის გაწერისა ამ პირთა და დაწესებულებებზე უნდა განმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტებულ და დამტკიცებულ იქმნეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ. შესანახად განმანათლებელ დაწესებულებებისა ტეხნიკურ და კომერციულ სასწავლებლებისა, რომელნიც შეიძლება გახსნილ იქმნენ სათანადო სამინისტროს ნებართვით, და აგრეთვე სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმების მოსაწყობად პალატა აწესებს ორი პროცენტის გადასახადს იმ თანხებისას, რომელიც აღნიშნულ არიან ამ წესდების მე-14-§ში,

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მე-14 და მე-15 §§-ში ნაჩვენებ თანხებს აგროვებს ხაზინა და სხვა დაწესებულებანი სავაჭრო და სამრეწველო მოწმობების გაცემის დროს და აგრეთვე სავაჭრო გადასახადების აკრეფის დროს. აკრეფილ თანხებს ხაზინა და სხვა დაწესებულებანი უგზავნიან შესაფერ სიასთან ერთად ყოველთვიურად პალატას.

§ 16. მე-14 და მე-15 §§-ში ნაჩვენებ თანხების გარდა პალატის თანხებს შეადგენს: ა) პროცენტები პალატის კუთვნილ კაპიტალისა და ქონებისაგან, ბ) პალატის მიერ დაწესებული გადასახადები გაცემულ ცნობებისა, მოწმობებისა და სხ., და გ) სხვა და სხვა შემთხვევითი შემოსავალი.

§ 17. ვაჭრობა-მრეწველობისათვის სასიკეთო დაწესებულებათა შესანახად და დასაარსებლად შეიძლება აღება სულ იქმნეს პროცენტიანი ვალი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით.

IV. მართვა-გამგეობა პალატის საქმეთა.

§ 18. სავაჭრო და სამრეწველო პალატა ანხორციელებს თავის მიზნებს და მოვალეობას ა) პალატის წევრთა საზოგადო კრებით, ბ) პაპალატის კომიტეტით და გ) სარევიზიო კომისიით. გარდა ზემოხსენებულ ორგანოებისა სავაჭრო და სამრეწველო პალატას აქვს უფლება დაარსოს დროებითი ანუ სამუდამო სპეციალი კომისიები ანუ განყოფილებანი სხვა და სხვა საკითხების წინასწარ შესამუშავებლად და პალატის მოქმედების ცალკე დარგთა გამგებლობისათვის. ყოველ კომისიის ანუ განყოფილების წევრთა რაოდენობა და აგრეთვე მათს უფლებასა და მოვალეობას განმარტავს პალატის წევრთა საზოგადო კრება.

V. პალატის კომიტეტი, მისი უფლებანი და მოვალეობანი.

§ 19. პალატის საქმეებს განაგებს პალატის კომიტეტი, რომელსაც ბინა საქალ. თბილისში აქვს. კომიტეტი შესდგება ერთი თავმჯდომარისაგან, ორი მისი ამხანაგისგან და კომიტეტის თორმეტ წევრისგან, რომელნიც უნდა არჩეულ იქმნენ პალატის წევრთა საზოგადო კრების მიერ სამი წლის ვადით, და რომელთაც საარჩევნო უფლება უნდა ჰქონდეთ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სავაჭრო და სამრეწველო პალატაში ყოველ თანამდებობაზე შეიძლება არჩევა მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომებისა.

§ 20. ნაცვლად პალატის კომიტეტის იმ წევრებისა, რომელნიც დიდისხნით წავლენ სადმე, ან ავად გახდებიან, ან გავლენ კომიტეტიდან, ან კიდევ გარდაიცვლებიან, წევრთა საზოგადო კრება ირჩევს ხუთს კანდიდატს, თუ კანდიდატი ასრულებს კომიტეტის წევრის მოვალეობას, მას ეძლევა ყოველი ის უფლებანი, რომელნიც კომიტეტის წევრს ჰქონდა.

§ 21. შემდგომ ერთი წლისა კომიტეტის წევრთა პირველ არჩევისა ყოველ წლივ გადის კომიტეტიდან წევრთა ერთი მესამედი ჯერ წილის ყრით, ხოლო შემდგომ სამსახურის ხნოვანებით. ნაცვლად გასულთა აირჩევიან ახალი წევრნი. გასული წევრი შეიძლება ხელახლად იქმნას არჩეული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: კომიტეტის თავმჯდომარე გადის სამი წლის შემდეგ.

§ 22. კანდიდატი, კომიტეტის წევრად შესული ნაცვლად კომიტეტის გარდაცვალებულ ანუ გასულ წევრისა რჩება კომიტეტში იმ ვადის გასვლამდე, რა ვადითაც იყო არჩეული გასული წევრი კომიტეტისა.

§ 23. პალატის კომიტეტის თავმჯდომარე და მისი ამხანაგები ირჩევიან პალატის კომიტეტის მიერ ყოველ წლიურად ურთიერთშორის საზოგადო წლიური კრების შემდეგ.

§ 24. პალატის კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრებს ეძლევათ გასამრჯელო პალატის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებით.

§ 25. პალატის კომიტეტი განაგებს პალატის ყველა საქმეებსა და თანხებს. მის მოვალეობას შეადგენს: ა) მიღება ყოველგვარ შემოსულ ფულისა; ბ) მოწმობა ბუღალტერიისა, კასისა და საქმის წარმოებისა; შედგენა წლიური ანგარიშებისა, ბალანსებისა, ხარჯთაღრიცხვებისა, მოხსენებებისა, მოქმედების გეგმებისა და სხ.; გ) კომიტეტისთვის საჭირო მსახურთა მუშაკთა მიღება, მათი დათხოვნა, განმარტება მათი მოვალეობისა და დანიშვნა ჯამაგირისა; დ) სყიდვა უძრავ და მოძრავ ქონებისა პალატისათვის ნაღდ ფულზე ან ვალის გადმოწერით, და აგრეთვე დაგირავება ქონებისა ბანკებში; ე) პალატისათვის საჭირო შენობების დაქირავება; ვ) დაზღვევა პალატის ქონებისა; ზ) ფულის აღება საზოგადო კრების ნებართვით; თ) ხელის მოწერა პალატის სახელით და მის სახელზე გირავნობისა და ნასყიდობის აქტებზე და ხელშეკრულობის დადება სახელმწიფო დაწესებულებებთან და კერძო პირებთან, და აგრეთვე კერძო საზოგადოებებთან ან ამხანაგობებთან, ან საქალაქო დაწესებულებებთან; ი) მიცემა რწმუნების ქაღალდებისა იმ მსახურთა, რომელნიც სამსახურში არიან მიღებული პალატის კომიტეტისა ანუ საზოგადო კრების მიერ; კ) მოწვევა კომისიებისა, დაარსება განყოფილებათა და აღნუსხვა მათი ვალდებულება-დანიშნულებისა; ლ) მოწვევა პალატის წევრთა საზოგადო კრებებისა და საერთოდ გამგეობა და განკარგულება პალატის ყოველგვარ საქმეთა, რომელნიც აღნიშნულ იქმნებიან პალატის საზოგადო კრების მიერ.

§ 26. კომიტეტი ხარჯავს ფულს თანახმად პალატის საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ ყოველწლიურ ხარჯთაღრიცხვისა. საზოგადო კრებას შეუძლიან გადასდოს განსაზღვრული თანხა გადადებულ და მოულოდნელ ხარჯისთვის, ხოლო პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში წინაშე საზოგადო კრებისა ევალება პალატის კომიტეტს.

§ 27. კომიტეტში შემოსული თანხები, რომელნიც დასახარჯად არ არიან გადადებულნი, უნდა შეტანილ იქმნენ კომიტეტის მიერ ერთერთ ბანკში პალატის კომიტეტის სახელზე, ხოლო საამისო საბუთები უნდა ინახებოდეს კომიტეტში.

§ 28. ყოველივე მიწერ-მოწერა პალატის საქმეთა შესახებ სწარმოებს კომიტეტის სახელით თავმჯდომარის ანუ ერთ-ერთ მისი თანაშემწის ხელის მოწერით.

§ 29. ხელშეკრულებანი, ქაღალდები რწმუნებისა, პირობათა, ნასყიდობისა და სხვა აქტები, აგრეთვე ბანკებიდან ფულის გამოსატანი მოთხოვნილებანი უნდა ხელმოწერილ იქმნენ თავმჯდომარისა და კომიტეტის ორი წევრის მიერ. მიმდინარე ანგარიშების ჩეკებს ხელს აწერს კომიტეტის მიერ საამისოდ რწმუნებული ორი მის წევრი. ფოსტიდან მიღება ფულისა, ამანათებისა და დოკუმენტებისა, და აგრეთვე შესანახად შეტანილ პროცენტიან ქაღალდებისა და კუპონებისა შეუძლიან კომიტეტის ერთს წევრსაც პალატის ბეჭდის ზედდასმით.

§ 30. პალატის საქმეთათვის საჭირო შემთხვევაში პალატის კომიტეტს უფლება აქვს შუამდგომლობა აღძრას წინაშე სათანადო დაწესებულებათა და თანამდებობის პირთა, რისთვისაც განსაკუთრებული რწმუნება არ არის საჭირო. აგრეთვე უფლება აქვს კომიტეტს ასეთ შემთხვევაში რწმუნებულად აირჩიოს კომიტეტის წევრნი ანუ გარეშენი, ხოლო სასამართლო საქმეებში უნდა მიცემულ იქმნეს განსაკუთრებული რწმუნება.

§ 31. კომიტეტი იკრიბება საჭიროების მიხედვით, მაგრამ არა ნაკლებ ერთხელ კვირაში. კომიტეტის დადგენილებანი კანონიერია თუ მის კრებას დაესწრო რვა წევრი, მათ შორის თავმჯდომარე ანუ ერთ-ერთი მისი ამხანაგი. კომიტეტის სხდომების ოქმებს ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი.

§ 32. კომიტეტი ირჩევს თავის წევრთა შორის ორს წევრს, რომელნიც თავმჯდომარესთან ერთად განაგებენ პალატის კომიტეტის მიმდინარე საქმეებს. კომიტეტის კრებებზე საკითხები ხმის უმრავლესობით სწყდება.

V. ანგარიში და რევიზია

§ 33. კომიტეტი ადგენს ყოველ გასული წლის დაწვრილებითს, ყოველ წლიურ ფინანსიურ ანგარიშს, ბალანსს და მოხსენებას შესახებ პალატის მოქმედებისა. ეს ანგარიშები უნდა წარედგინოს პალატის წევრთა ჩვეულებრივს ყოველ წლიურს საზოგადო კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად. დაბეჭდილი ანგარიშები და ბალანსი გამგეობაში ურიგდება პალატის წევრებს, რომელნიც სურვილს განაცხადებენ, ერთი თვის წინად საზოგადო კრებამდე.

§ 34. ანგარიშებისა და ბალანსის განსახილველად პალატის წევრთა საზოგადო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას სამი წევრისაგან ანუ მეტისაგან, რომელნიც არ შეიძლება იყვნენ პალატის სამსახურში ან კომიტეტის წევრნი. ეს კომისია იკრიბება უეჭველად არა უგვიანეს ერთის თვის წინად მომავალ წლიურ საზოგადო კრებამდე, განიხილავს გასული წლის ანგარიშებს, ბალანსს, წიგნებს, დოკუმენტებს, დამატებებს და შეაქვს ანგარიში და ბალანსი თავის დასკვნით საზოგადო კრებაზე, რომელსაც გამოაქვს საამისო საბოლოო გადაწყვეტილება. გარდა ამისა, კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს კომიტეტს, თუ მისი აზრით საჭიროება მოითხოვს, მოწვევა არაჩვეულებრივის პალატის წევრთა საზოგადო კრებისა.

VI. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა საზოგადო კრება.

§ 35. პალატის წევრთა საზოგადო კრება არის ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი. ჩვეულებრივ კრებას კომიტეტი იწვევს ყოველ წელს არა უგვიანეს მაისისა განსახილველად და დასამტკიცებლად გასულ წლის ანგარიშებისა, ბალანსისა, ხარჯთ-აღრიცხვისა და მომავალი წლის მოქმედების გეგმისა, და აგრეთვე ასარჩევად კომიტეტის წევრებისა, კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიისა. ეს კრება იხილავს და სწყვეტს აგრეთვე სხვა საქმეებს, რომელნიც აღემატება კომიტეტის უფლებას, ანუ კომიტეტის მიერ გადაეცემა საზოგადო კრებას. საზოგადო კრებას თავმჯდომარეობს პალატის წევრთა მიერ თავის წრიდან არჩეული პიროვნება, ხოლო მის არჩევამდე თავმჯდომარეობს კომიტეტის თავმჯდომარე.

§ 36. არაჩვეულებრივ კრებას იწვევს კომიტეტი ან თავის სურვილით, ან მოთხოვნილებით სარევიზიო კომისიისა, ან პალატის წევრთა ერთი მეხუთედისა. ასეთი მოთხოვნილება სარევიზიო კომისიისა ან პალატის წევრთა შესახებ არაჩვეულებრივი საზოგადო კრების მოწვევისა უნდა განხორციელდეს კომიტეტის მიერ არაუგვიანეს ერთის თვისა დღიდან საამისო განცხადების მიღებისა.

§ 37. საზოგადო კრება კანონიერია თუ მას დაესწრო პალატის წევრთა არანაკლებ ორი მესამედისა. თუ კრებას ორი მესამედი არ დაესწრო, მეორე კრება ინიშნება ოცდაოთხი საათის შემდეგ და იგი ითვლება კანონიერად რამდენი წევრიც უნდა დაესწროს მას.

§ 38. საზოგადო კრების მიერ განსახილველი საქმეები ჯერ უნდა გადაეცეს კომიტეტს, ამიტომ თუ პალატის წევრს ჰსურს შეიტანოს საზოგადო კრებაზე რაიმე განცხადება ანუ წინადადება, მან იგი წერილობითი განცხადება უნდა გადასცეს კომიტეტს საზოგადო კრებამდე ათი დღის წინათ. კომიტეტს ასეთი განცხადება თავის დასკვნასთან ერთად შეაქვს საზოგადო კრებაზე.

§ 39. საზოგადო კრების დადგენილების ოქმებს ადასტურებენ კრების თავმჯდომარე, კომიტეტის დამსწრე წევრები და პალატის არა ნაკლებ ათი წევრი.

§ 40. დრო და ადგილი პალატის წევრთა საზოგადო კრებისა უნდა გამოცხადდეს პუბლიკაციით ერთი თვით მაინც ადრე. განცხადებაში უნდა სწორედ იყოს აღნიშნული საზოგადო კრების მიერ განსახილველი საგანი და საკითხები.

§ 41. საზოგადო კრებაზე პალატის წევრნი პირადად იღებენ მონაწილეობას. წესი ხმის მიცემისა საზოგადო კრებაზე თვით კრების სურვილით ხდება: კენჭის ჩაყრით, ბარათებით ან უბრალო ადგომით. წესი კენჭის ყრისა სწყდება ადგომით.

§ 42. ეს წესდება შეიძლება შეივსოს ან შეიცვალოს საზოგადო კრების მიერ დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით და ცვლილება უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს.

---


პარასკევა ტიხონის ასული პუმინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კვიტანცია № 222, ახალციხის ხაზინიდან მოცემული 4% რენტა 1000 მანეთისა. კვიტანცია გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 3—2

ექიმი დოქტორი მედიცინისა

**შ. ნ. აქსელოს**

ღებულობს ვენერიული სენით შეპყრობილ ავათმყოფებს. უკეთებს სისხლს ანალიზს პროფ. კლაუზნერის მეთოდით. ავათმყოფები მიიღება დილის 9—12 ს-დე, საღამოს 6—8 ს-დე. პუშკინის ქ. „დვორცოვის ნომრები“ № 3. 6—5

---

იასე აბრამის ძე მირაქოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიგელი მამულის კუთვნილებაზე 28 ნოემბ. 1906 წ. № 1502 და ორი ნასყიდობის სიგელი დამტკიცებული: პირველი 10 იანვარს 1894 წ. № 63 და მეორე 21 სექტემბერს 1888 წ. № 947. 3—2

---

846, 847, 848, 851 მუხ. ძალით, ქ. თბილისის პირველი განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის განმარტებით, ეძებენ დამნაშავეს, გევორქ არტაშის ძე ყაზაროვს, რომელსაც ბრალი ედება 169 მუხ. ძალით. დამნაშავის ნიშნები არ იციან. დაბადებიდან 18 წ. ყველა, ვინც იცის სად არის დამნაშავე, ვალდებულია განუცხადოს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს, დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთა განკარგულებაში არის დამნაშავის ქონება, ვალდებულია შეიტანოს საოპეკუნო სამმართველოში.

---

846, 847, 848, 851 მუხ. ძალით, ქ. თბილისის პირველი განყოფილების მომრიგებელი მოსამართლის განმარტებით ეძებენ დამნაშავეს, ივანე დიმიტრის ძე დიგაევს, რომელსაც ბრალი ედება 975 მუხ. ძალით.

დამნაშავის ნიშნები არ იციან. ყველა ვინც იცის სად არის დამნაშავე, ვალდებულია განუცხადოს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს, დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთა განკარგულებაში არის დამნაშავის ქონება, ვალდებული არიან შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში.

---

ნიკოლოზ იოსების ძე იაკობიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობა, რევოლვერის, „ბრაუნინგის“ სისტემის, ტარებაზე. მოწმობა მიღებულია თბილისის საგუბერნიო კომისარისგან ამა წლის აპრილში № 50606.

---

ქ. თბილისის პირველი განყოფილების სასამართლოს ბოქაული, ვ. ა. ზამოისკი აცხადებს, რომ 1918 წ. 16 სექტემბერს, დილის 10 საათზე, მისდამი დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებულ ივანე როგაჩევის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს ტანისამოსს და სახლის მოწყობილებას. შეფასებულია 475 მან. ვაჭრობა მოხდება მე-12 უბანში, გაუდანოვის ბანდი, ბერეზიშვილის გიმნაზია, პახომკინის ბინა.

---

ქ. ორდუბათის მცხოვრები გაჯი-რიზა-კული აგასიევი აცხადებს, რომ მან დაკარგა ჯულფა-ბაქოს რკინის გზის მე-4 და მე-5 უბნების უფროსების ხელწერილები 50.000 მან. ეს ფული მან ასესხა ამ პირთ ჯულფა-ბაქოს რკინის გზის სამმართველოს საჭიროებისთვის. ეს ხელწერილები გაუქმებულად ითვლება.

---

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორა ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის ყორღანოვის, № 12, მცხოვრებმა პარასკევა ტიხონის ასულმა პუმინოვისამ განაცხადა, რომ ახალციხის ხაზინიდან მიცემული შესანახი ბარათი № 222 დაჰკარგა, ამიტომ, თუ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, წარდგენილ არ იქნება ახალციხის ხაზინაში, გაბათილებულად ჩაითვლება და მის მაგიერ მიეცემა ახალი.

---

თბილისის

**ბოტანიკურ ბაღში**

ამ წლის 31 აგვისტოდან იყიდება საოთახო და საორანჟერეო მცენარეები დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, 20 სექტემბრამდე. შესავალი მაიდანის კარებიდან. 2-1

---

ქართულ ენაზე

**საბუღალტერო და საკომერციო კურსები**

(ორივე სქესისა)

კურსები სამთვიანია, სწავლა საგნებისა და წიგნების წარმოება ქართულ ენაზეა. მეცადინეობა დაიწყება 10 ენკენისთვიდან. თხოვნები მიიღება საღამოს 5—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა № 22. ბუღალტერის კურსები ნ. ვ. აბრამიანისა. (6—6)


---

# განცხადება.

კახეთის რკინის გზის საზოგადოების გამგეობა წესდების § 39 თანახმად იწვევს ბ. აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომლის საგანი შემდეგია;

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების შესახებ და ამ მოხსენებიდან გამომდინარე კითხვების გარჩევა.
2. 1917 წლის კახეთის რკინის გზის ექსპლოატაციის ანგარიშის განხილვა.
3. მთავრობის მიერ ნება დართული თელავ-ყინვანის ხაზის გასაყვანად, რომელიც შეაერთებს კახეთის რკინის გზას ულელტეხილის ხაზთან კავკასიის მთავარი ქედით, მთავრობას საშუალება უნდა ეთხოვოს.
4. მთავრობას უნდა ეთხოვოს თელავ-ახმეტის ხაზის გაყვანის ნებართვა.
5. გამგეობის ორი დირექტორის და დირექტორის ერთი კანდიდატის ამორჩევა.

საერთო კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 3—3

რედაქტორი პ. ჯ. საყვარელიძე.

მთავრობის სტამბა.